ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 ნოემბერი 2005 №266 (2589)

ფასი 50 თეთრი



## დევაძე წავიდა

## კაცი, რომელიც გვახსოვს



## დღეს დავით ყიფიანის დაბადების დღეა

დინამოს დიდი ათიანი 54 წლის გახდებოდა

# მალე თქვენც დაისვენებთ და ჩვენც დარსაძე აღარ იქნება





ხელისუფლება გვპირდება, რომ ფეხბურთის ფედერაცია ხალხის სურვილს გაითვალისწინებს და გაიოზ დარსაძეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტს დაატოვებინებს.

ეს „მალე", ალბათ, ახალ წლამდე იქნება, მერე კი ეროვნულ გუნდს უცხოელ სპეციალსტს ჩააბარებენ.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა გუშინ სპორტის სამინისტროსა და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის პოზიცია გაახმაურა და ფრიად საინტერესო ამბები გვითხრა...

მეორე გვერდი

# მესამე ტაიმი თურქულად



AFP სტამბოლიდან

თურქმა პოლიციელებმა შვეიცარიელი ფეხბურთელები აეროპორტამდე ძლივს მიაცილეს

გასაკვირი ამბავი არ არის?! ქართველებმა ხომ ვერა და ვერ გავიხარეთ ფეხბურთით, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასული შვეიცარიელებიც რომ სულ „ვაი, დედას" იძახდნენ?! თუმცა გასაკვირად ალარაფერი მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ შვეიცარიელებმა ეს პატივი თურქებს აწაპნეს მათსავე მოედანზე, ხოლო გიჟმაჟი თურქი გულშემატკივრების ამბავი რომ ვიცით...

და განა მხოლოდ გულშემატკივრები — ისინი რომ შვეიცარიელ გულშემატკივრებს ურტყამდნენ, იმ დროს გასახდელში თურქი ფეხბურთელები შვეიცარიელ ფეხბურთელებს სცემდნენ. ამიტომაც იყო, თამაშის დასრულებისთანავე, იმის მაგივრად, შუაევროპელებს მოედანზევე დაეწყოთ მხიარულება, თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ გასახდელისკენ — ვერ შეასწრეს.

საავადმყოფოში მოხვდნენ შვეიცარიელთა მწვრთნელი კობი კუნი და ერთი ფეხბურთელი, თავგატეხილ გულშემატკივართა რიცხვს კი, აბა, ვინ დაითვლიდა.

ნამატჩევსვე თურქთა დამრიგებელმა ფათიჰ თერიმმა „ქართულად" დაიჩივლა, მსაჯებმა დაგვწვესო.

ისე, ქართველებმა ვიკითხოთ, თორემ შვეიცარიელებმა სამშობლოში დაბრუნების მერე ხომ მაინც გაიხარეს.

თურქებს კი, ცხადია, სანქცია...



# დავით ნამგალაური: ნაკრების მწვრთნელი დარსაძე არ უნდა იყოს!

— ჩვენი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია — ნაკრების მწვრთნელი გაიოზ დარსაძე არ უნდა იყოს — გვითხრა დავით ნამგალაურმა — დღესდღეობით ფედერაციისა და ქართული ფეხბურთის მესვეურთა უპირველესი ამოცანა სწორედ მწვრთნელის საკითხია. ეროვნული გუნდის მწვრთნელი მაღალი დონის უცხოელი სპეციალისტი უნდა იყოს.

— ეს თქვენი სურვილია თუ მოთხოვნა?

— ერთიც და მეორეც. მთავარი კი ხალხის, ქართული ფეხბურთის ქომაგის აზრია.

— კი მაგრამ, ფედერაცია ჯიუტად აცხადებს, რომ არჩეულ გზას არ გადაუხვევს, დარსაძე კი ნაკრების მწვრთნელი იქნება. თქვენი სურვილი და მოთხოვნა ფედერაციის ხელმძღვანელებს პირადად თუ გააცანით?

— დიახ, ფედერაციის პრეზიდენტს ვესაუბრეთ და ჩვენი პოზიციაც ცალსახად დავაფიქსირეთ. ნოდარ ახალკაცმა თქვა, უცხოელი მწვრთნელის ჩამოსაყვანი ფული არ გვაქვს, თორემ პრობლემა სხვა არაფერიაო. ჩვენ კი ვუთხარით და ახლაც ხმამაღლა ვამბობ, რომ ფინანსურ პრობლემებს მოვაგვარებთ. ჩვენ ფედერაციას ყველანაირ დახმარებას ვპირდებით. ნაკრები პრაქტიკული გამოცდილების მქონე უცხოელს უნდა ჩავაბაროთ.

— ჩვენო, რომ ამბობთ, ვის გულისხმობთ? ეს მხოლოდ დეპარტამენტის პოზიციაა თუ...

— სპორტის სამინისტროსი, პარლამენტის კომიტეტის და, ერთხელაც ვამბობ, ხალხის. ნაკრების ქომაგი ამდენი წარუმატებლობითა და უსახური თამაშით დაიღალა.

— დარწმუნებულნი ხართ, რომ ფედერაცია თქვენს სურვილსა და მოთხოვნას შეასრულებს?

— დიახ, დარწმუნებულნი ვართ.

— და როდის უნდა შეიცვალოს ნაკრების მწვრთნელი?

— წლეულსვე. ყოველ შემთხვევაში, ეს პროცესი დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ისე კი, ჩვენი პოზიცია ადრეც ასეთი იყო — ნაკრებს მაღალი დონის მწვრთნელი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ მაშინ ფედერაციას სხვა პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი. ახლა ახალი მწვრთნელის საკითხი უკვე მომწიფებულია, ჩვენი მოთხოვნა კი — გამკაცრებული. ვიმეორებ, ფედერაციის დასახმარებლად ჩვენ მზად ვართ.

— უფრო კონკრეტულად?

— ნოდარ ახალკაცი ამბობს, მწვრთნელის ჩამოსაყვანად 2-2,5 მილიონი ევროა საჭიროო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გაიოზ დარსაძესა და ასეთი ფასის მქონე სპეციალისტებს შორის ძალიან დიდი არჩევანი, ძალიან ბევრი მწვრთნელია.

— შეგიძლიათ, გვითხრათ, ფედერაციას რამდენით შეეწევით?

— ეს გვკითხეს ფედერაციის ხელმძღვანელებმაც. ჩვენ კი ამას ჯერ ვერ გეტყვით. ფედერაციამ მწვრთნელობის კანდიდატები ჩამოგვითვალოს, ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინოს, გვითხრას, რა შეუძლიათ, სპონსორები რის გაკეთებას აპირებენ და შესაბამის ნაბიჯსაც ჩვენ გადავდგამთ.

— მოკლედ, საქართველოს ნაკრებს მალე ეშველება...

— დიახ... ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ნაკრების მწვრთნელი მაღალი დონის უცხოელი უნდა იყოს

**ქოგბა ინასარიძე**

# არველაძე არის ესე



ბოლო კვირა ქართული ფეხბურთისთვის სანაკრებო იყო: შაბათს 2:6 ბულგარეთში, ოთხშაბათს 3:2 იორდანიასთან და... შოთამ ჯერ თვითმფრინავის ბილეთი ჩააბარა — სოფიიდან ალკმაარში არ გაბრუნდა, ნაკრებს თბილისში ნამოჰყვა, — შემდეგ კი, თავი მოიკლაო, რომ იტყვიან, იორდანიასთან ისე ითამაშა. აი, ჩვენი აზრით, ბოლო ექვსი დღის სამი ძალიან გამორჩეული ამბავი. ამათგან პირველი და მეორე გასაგებია, მესამე კი შოთური.

იორდანიასთან მატჩის დროს „მიხეილ მესხზე" შეკრებილი ხალხი გაიოზ დარსაძეს წადი-წადის ეძახდა, შემდეგ კი ამას შოთა-შოთათი ცვლიდა. რატომ? ხომ გითხარით, შოთამ ბილეთი ჩააბარა და იორდანიასთან თავი მოიკლა — ორი საგოლე პასი, პლუს გოლი. ვილას ახსოვდა ტრიბუნაზე, ერთი სიმღერისა არ იყოს, გაზაფხული, აპრილი, მაისი და მარტის თვე, შოთამ საბერძნეთთან შეხვედრაში საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ბურთს ფეხი ბავშვივით რომ ააცილა და... მერე ბერძნებმა 3:1 რომ მოგვიგეს. აუ, რა უსტვინა იმავე „მიხეილ მესხმა" მაშინ! აღარც ის ახსოვდა ვინმეს, როდის გაეტანა ბოლო გოლი ქართველთა მეთერთმეტე ნომერს — ეს წინა შესარჩევი ციკლის ბოლოსწინა შეხვედრაში, ალბანეთთან იყო — მას მერე კი ჩვენს გულებს მხოლოდ „რეინჯერსსა" და „ალკმაარში" გატანილი გოლებით ახარებდა. და ჩვენც, საბრალო და ურა-პატრიოტ ქართველობას მართლა გვეამაყებოდა ჩვენი ბიჭის მიერ სადღაც, ვილაცის გასამარჯვებლად გატანილი გოლები. საქართველოს ნაკრები კი...

უი, დედა, მგონი, ცუდებს ვამბობთ იმ პატიოსან ადამიანზე, რომლის სახელსაც გუშინ ტრიბუნიდან ერთხმად ვყვიროდით.

და მერე ეს სამართლიანობაა? ხომ არ გვავიწყდება, რომ ერი, ქართველი თუ სხვა, შეფასებებში ყოველთვის ზუსტია, ანუ კალაძე კალაძეა, კობიაშვილი კობიაშვილია, ხიზანიშვილი ხიზანიშვილია, ასათიანი ასათიანია, დემეტრაძე დემეტრაძეა, ქინქლაძე ქინქლაძეა, ქეცბაია ქეცბაიაა, არველაძე კი შოთაა. ყველასთან დიდი ბოდიში და, ამას შეძლება სჭირდება.

დიახ, შეძლება სჭირდება იმას, რომ ის უყვართ და, მოდი, ნუ მოვიტყუებით, აქა-იქ სიყვარულის საპირისპირო სიტყვა რომ არის — რა ჰქვია, კაცო, მჭადის სახელი რომ დაავიწყდება კაცს — იმასაც განიცდიან მის მიმართ.

განა ერთი და ორი გახსოვთ, შოთას ჩინებული, თუმცა, მოდი, ჩინებული გვერდით იყოს, გულიანი თამაში საქართველოს ნაკრებისათვის?

და განა არ გინახავთ, რომ შოთა იმ დონისთვის, რომლის პრეტენზიაც (ჩვენთან ერთად) თავად აქვს, ერთობ მოკრძალებულად გამოჩენილა? ხოლო, თუ ამ „მოკრძალებიდან" ერთ კვირაში სადმე „აიაქსის" შემადგენლობაში დიდებულად უთამაშია, ათასი ეჭვიც გაგვჩენია, ოღონდ ურა-პატრიოტები ვართ და მაინც გაგვხარებია.

ჰოდა, იცით, ხშირად რა ახსენდებათ ქართველებს? შოთა სწორედ „აიაქსში" რომ თამაშობდა და „უდინეზეს" იტალიაში გადამწყვეტი გოლი რომ შეუგდო. უეფას თასის მერვედფინალი იყო და ძალიან მაგარი გოლი გამოვიდა.

შოთა უყვარდათ ტრაპიზონში, გლაზგოში, ამსტერდამში, უყვართ ალკმაარში — ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცით და გვწამს, რომ ასეცაა. ამსტერდამელებმა მისტერ ბინი უწოდეს, უშუალო და ხუმარააო. ანკი აქ, საქართველოში, გინახავთ მისი თუნდაც ერთი ინტერვიუ, საჯარო გამოსვლა, რომლითაც მას ვინმე გაეღიზიანებინოს? მგონი, ასეთი არ ყოფილა, თუ ვცდებით და, გვაპატიეთ.

მაგრამ იყო რუსეთთან მატჩი — გავიმეოროთ ახლა, რა მატჩი იყო ის? და შოთამ, ძირითადში რატომ არ ვარო თუ მწვრთნელმა პირადად რატომ არ მომახსენა, სათადარიგოობას რომ მიპირებდაო, კედელზე ჩამოწერილი სიიდან არ უნდა ვიგებდე ასეთებსო, ქუდი დაიხურა და ბანაკი დატოვა. ვიმეორებთ, ბანაკი დატოვა რუსეთთან თამაშის წინ!

ირლანდიაში კი.... ამის დავიწყება არ შეიძლება, იმავ ივო შუშაკის ხელმძღვანელობით ისე ითამაშა, რომ მატჩის შემდეგ გადატვირთვისგან ცუდად გახდა...

ახლაც, დარსაძის ხელში, ჯერ იყო და, მწვრთნელი არ იძახებდა, მერე გამოიძახა, მაგრამ შოთამ, ეს პრესის ზეწოლითაა განპირობებული, არ მინდაო და... ჩამოვიდა. წინა შაბათს ბულგარეთში 2:6 შერცხვენაში მიიღო მონაწილეობა და, ნაცვლად იმისა, რომ გაბრაზებული სულ გაქცეულიყო დარსაძისაგან, თვითმფრინავის ბილეთი ჩააბარა, თბილისში ჩამოვიდა და იორდანიასთან თავი მოიკლა, ისე ითამაშა.

...შოთა 32 წლისაა.

**პაპუნა ქედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

...1999 წელს თბილისის „დინამოში“ და ეროვნულ ნაკრებში იოჰან ბოსკამპი მოვიდა. ბოსკამპი ფეხბურთელებს წარუდგინეს და უთხრეს, რომ მას, როგორც მწვრთნელს, მოგებული აქვს ბელგიის ჩემპიონატი და თასი. ბოსკამპის სახელი დინამოელებს და ალბათ ნაკრებელებსაც, მანამდე გაგონილი არ ჰქონდათ და არც მისი სამწვრთნელო მონაგარი უკრუანტელებდათ ტანს. ცოტა მოგვიანებით კი ქართველმა ფეხბურთელებმა გაიგეს, რომ ბოსკამპს ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში იოჰან კრუიფთან უთამაშია და მას სულ სხვა თვალით შეხედეს, იგი მათთვის გაიზარდა როგორც კაცი და როგორც მწვრთნელი.

...2001 წლის შემოდგომაზე თბილისში, ფეხბურთის კლუბმა „ამერმა“ შექმნა ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „მარდი“, რომლის მთავარ მწვრთნელადაც გაიოზ დარსაძე დაინიშნა. „მარდი“ მეტწილად „ნორჩი დინამოელის“ იმ ფეხბურთელებით დაკომპლექტდა, რომლებიც 1988 წელს არიან დაბადებულნი. „მარდში“ მოხვდნენ რატი წინამძღვრიშვილი და ბექა გოცირიძე, ხოლო დარსაძის კიდევ ერთი ფავორიტი გიორგი განუგრავა იქ „ავაზადან“ მივიდა, რაც პირველი სამოყვარულო ტრანსფერი იყო „მარდისთვის“ და მაშასადამე „ამერისთვისაც“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა კი ამას წინათ თქვა, ბოსკამპი დარსაძეზე ძლიერი მწვრთნელი არ არისო. მაგრამ იცის კი ახალკაცმა, რას ფიქრობენ დარსაძეზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები?

როგორც უნდა იყოს, დარსაძე ჯერაც ჩვენი უპირველესი გუნდის ხელმძღვანელია, მაგრამ რატომ, ამაზე ლოგიკური პასუხი არ არსებობს. დარსაძე ახალკაცების ოჯახის მეგობარია, უფროსი ნოდარ ახალკაცის ფავორიტი იყო და, ალბათ, ამის გამოც უბოძეს ასეთი მაღალი და საპასუხისმგებლო პოსტი.



ბოსკამპს კრუიფთან უთამაშია...



დარსაძეს მარდელ წინამძღვრიშვილთან

# ნუ ისარგებლებთ მისი ალმატებულების კომპეტენციით!

მოკლედ, დარსაძეს არც კრუიფთან უთამაშია, არც სამწვრთნელო დიპლომი აქვს და არც ნაკრების მთავარსარდლისთვის საჭირო გამოცდილება, ვერც სამწვრთნელო შედეგებით დაიკვეხნის; არც ალექსანდრე ჩივაძე ყოფილა ფეხბურთელობისას და არც დავით ყიფიანი, მაგრამ ეროვნული ნაკრების დამრიგებელი მაინც გახდა.

დარსაძის პროტექტორის ერთადერთი არგუმენტი ალბათ ის იყო და იქნებ კიდევ არის, რომ დარსაძე ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებად გამოაწრთობდა გოცირიძეს, წინამძღვრიშვილს და განუგრავას — 17 წლის ფეხბურთელებს, რაც არნახული პროექტი იქნებოდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში...

ეჰ, ამაზე ლაპარაკის დრო, იმედია, წავიდა. ქართული საფეხბურთო საზოგადოება ეროვნულ ნაკრებში უკვე ახალ მწვრთნელს, დარსაძის შემცვლელს ელის და პროცესის ხელოვნურად დამუხრუჭება კარგს არაფერს მოუტანს არც დარსაძეს და არც მის პროტექტორს.

ისიცაა, სჯერათ კი გულშემატკივრებს ნაკრების იმ ლიდერის, რომელიც ამბობს, რომ დარსაძის მოსვლით გუნდში რკინისებრი დისციპლინა დამყარდა, ყველაფერი კარგად მიდის და კარგად იქნება, დიდებული თაობა მოდის ნაკრებში, ჩვენ ყველას საქართველო გვიყვარს...

მე უფრო იმ ნაკრებელის მჯერა, ვინც ამბობს, გუნდს ქირურგიული ჩარევა სჭირდება, ფეხბურთელებმა მწვრთნელის შესაძლებლობები უნდა ირწმუნონ, გემი იძირება...

ცხადია, გულშემატკივართა განწყობა ყოველთვის უტყუარი კატალიზატორი არ არის ამა თუ იმ საფეხბურთო საკითხზე, მაგრამ ამჯერად ქომაგი ძალიან ზუსტია, როცა ამბობს: გაიოზ, წადი!

მაინც რატომ ვერ ელევა ახალკაცი დარსაძეს? რატომ აყენებს დიდი რისკის ქვეშ საკუთარ რეპუტაციას და საფეხბურთო მოხელის კარიერას? დღეს უკვე აღარავის სჯერა, რომ უცხოელი მწვრთნელის არმოწვევა უფულობის ბრალია, რამეთუ წელიწადში ნახევარი მილიონი ევროს ერთობლივად შოვნა ფედერაციისთვის, ქველი თუ არაქველი ბიზნესმენებისთვის და ხელისუფლებისთვის შეუძლებელი ნამდვილად არ არის.

როცა ფედერაციის უწინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ხელმეორედ დააპატიმრეს და ახალი პრეზიდენტის ასარჩევად კამპანია დაიწყო, „სარბიელმა“ ყველანაირად აპრობირებული, დასავლური და ნორმალური პირობა თუ თამაშის წესები შესთავაზა საზოგადოებას: პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა წარმოადგინოს საკუთარი, როგორც საფეხბურთო მოხელის CV და ის ფინანსური პარტნიორი, რომელიც მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ქართულ ფეხბურთში სერიოზულ ინვესტიციებს ჩადებს. ეს ჩვეულებრივი, მაგრამ ცივილური თამაშის წესი უმეტესობას არ მოეწონა, მათ შორის არც ქვეყნის ხელისუფლებას და მივიღეთ ასეთი პროდუქტი: გაიოზ დარსაძე — საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე კვლავ ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს. ჟურნალისტური ეთიკა ვინმესთვის რჩევის მიცემის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ თხოვნა-მუდარას კი შევკადრებთ ჩვენს პროფესიას და მავანთ: ნუ ისარგებლებთ იმით, რომ მისი აღმატებულება ფეხბურთში დიდად ჩახედული არ არის!

**დავით თავართქილაძე**



# დევაძე წავიდა

აკაკი დევაძემ კარიერა დაასრულა! 33 წლის მეკარე, თავის დროზე ძალიან პერსპექტიული, მრავალ ტანჯვაგადატანილი, ტრავმებით გატანჯული, კარიერაარეული, მკვდრეთით აღმდგარი და ისევ ხალხის ამლაპარაკებელი კაკო, ვისაც 28 ნოემბერს 34 წელი შეუსრულდება, ფეხბურთს ჩამოშორდა.

ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი ჩანდა — დევაძე რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ისევ ჩადგა კარში და, იფრინა... ნაკრებშიც დაბრუნდა...

თუმცა სწორედ იქ დაამუხრუჭა, საიდანაც ახალი ერის დაწყებაზე ოცნებობდა. კაკომ 30 მარტს თურქეთთან მატჩში სახის უმძიმესი ტრავმა მიიღო, სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა...

მერე იყო მორიგი დაბრუნება მოედანზე, თუმცა უკვე ნაკლებად ეფექტური — დევაძე თბილისის „სპარტაკს“ ამ სეზონში რამდენჯერმე დაეხმარა და დამთავრდა... ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი, ბევრისშემძლე და დაუოკებელი ქართველი მეკარის ეპოქა დასრულდა.

— წავედი, რადგან ქართულ ფეხბურთში ჩემს ადგილს ვეღარ ვხედავ. დროა, ყველაფერი დამთავრდეს — ნაღვლიანად გვითხრა გუშინ კაკომ და მისგან შევიტყვეთ ისიც, რომ მალე გერმანიაში მიდის თავის გასატანად.

**კახა შალამბერიძე**

# მეთოთხმეტე ტური ერთ დღეში ჩაატიეს

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეთოთხმეტე ტური 19-20 ნოემბერზე იყო გათვლილი, მაგრამ გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგიდან გვაცნობეს, რომ ამ ტურის ყველა მატჩი 19 ნოემბერს გაიმართება.

რაც შეეხება დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩებს, ისინი ადრევე დათქმულ დღეებში, 22-23 ნოემბერს ჩატარდება, მაგრამ 14 საათის ნაცვლად თამაშები 13.30 საათზე დაიწყება, რადგან არის იმის ალბათობა, რომ დამატებითი დრო დაინიშნოს და ფეხბურთელები და ქომაგები სიცივემ და ბინდმა შეაწუხოს.

და კიდევ: მე-14 ტურის „ლოკომოტივ“ — „ბორჯომს“ საზოგადოებრივი არხი აჩვენებს პირდაპირ ეთერში.

**ნიკა ჯორჯაძე**

geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს გამარჯვება არაფერს ნიშნავს
## ჩვენ ვხედავთ თქვენს ხედვას?!

**MEZVRO**: გაიოზის მისამართით ტრიბუნა რასაც სკანდირებდა, პასუხია მის მიმართ, ხალხს რა განწყობაც გააჩნია. თავმოყვარე კაცი ამის შემდეგ მაინც წავიდოდა.

ეს ის თამაში არ იყო, ჩვენი პესიმიზმი რომ გაანელოს. ძალიან სუსტ მეტოქესთან ასე რომ გაგიჭირდება...

ერთი პოზიტიური მაინც მინდა ვთქვა: არველაძის საქციელი დასაფასებელია, ცდა არ დაუკლია.

დიახ, არ დაუკლია, მაგრამ არველაძის მონდომებამ არა გვგონია, ვინმე ანუგეშოს.

ნუგეშად, ალბათ, არც ის გამოდგება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის აზიის ზონის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე (შესარჩევის შესარჩევი) იორდანიამ ყატარი და ლაოსი დაჯაბნა და მხოლოდ ირანს ჩამორჩა.

რაც შეეხება ტრიბუნებიდან გადმოფრქვეულ აგრესიას და კომენტარებს, ვიცით, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელს არაფერი გაუგია.

**LIKVIDATOR MBG**: კიდევ გამარჯვება „სარბიელს". პირველი ტაიმი ყოფილა, სიზმარში რომ მინახავს (გუშინ დილას მოგწერეთ). ისე, დანარჩენი იგივე რჩება, საქართველო — იორდანია 3:2, რა გვეშველება.

თქვენ კარგი ხალხი ხართ.

მაპატიეთ, სხვა რა მოგწეროთ. დანარჩენი რასაც ვფიქრობ, ეთიკის ნორმებში არ ჯდება.

თუ გახსოვთ, ლიკვიდატორმა თამაშამდე მოგვწერა, 1:1 დამთავრდება, ჯერ ჩვენები გაიტანენ და იორდანია გაათანაბრებსო.

ყველანი ძმურად გთხოვთ, საქართველოს ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე გასული თუ დაგესიზმრა, არ დაგვიმალო.

**KAKICH**: რა უბნელია დარსაძე? რა უნდა, დაგვანებოს თავი. მოკიდოს ხელი თავის მასნავლებელ ფერარის, ჩაჯდეს თვითმფრინავში და გაფრინდეს ზესტაფონში და იქ დაგეგმოს კურსი, და იქ ჩაატაროს ცდები, დაანებოს თავი ნაკრებს. ახალკაცო, რა ჯადო გაგიკეთა გაიოზმა, ვერ გავიგე. და ფედერაციას რა ხედვაც აქვს, ყველანი კარგად ვხედავთ! მაინტერესებს, რა ხელფასი აქვს გუს ჰიდინკს ავსტრალიის ნაკრებში. არა მგონია, 2-2,5 მილიონი იყოს. ისე, გუშინ თამაშის გამო „პრისიონერას" სერია გამომრჩა და ვინმემ თუ უყურეთ, მომწერეთ მოკლე შინაარსი, ნამდვილად უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე დარსაძის მოედნის ხედვის და ახალკაცის ფედერაციის კურსის ყურება.

*იორდანიაც გადავაგორეთ, თუკი ამას „გადაგორება" ჰქვია. მერე კიდევ რაღაცას გადავაგორებთ ან გადაგვაგორებენ და ასე შემდეგ. როდის არის საქართველოს ნაკრების შემდეგი თამაში? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, იქამდე რამე შეიცვლება? თუ შეიცვლება და, თქვენს წერილებშიც აისახება. ჯერჯერობით კი გულშემატკივართა წერილებში ყველაფერი ძველებურადაა...*




ასე თუ გაგრძელდა, ქართველების ეროვნული ინტერესი „პრისიონერა" უფრო იქნება, ვიდრე ფეხბურთი



ჰიდინკის ხელფასის თაობაზე ამ წუთას ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა გარკვევას ვეცდებით.

თუ მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ბატონი გაიოზის უბნელობას, საბურთალოელია, ზესტაფონში კი, ვაგლახ, აეროპორტი არ არის.

პრისიონერა? ეგ რომელი სერიალია, დანიელს გვადალუპე რომ უყვარს, მაგრამ ელენას მოიყვანს ცოლად? ელენა კი იმ ადვოკატის შვილია, გვადალუპე რომ იხსნა? არა, მაგ სერიალს არ ვუყურებ.

**KAXABERO**: ადრეც მითქვამს და გავმეორდები, რომ ეს რუბრიკა საუკეთესო მიგნებაა, რაც კი ოდესმე ქართულ სპორტულ ბეჭდვით მედიას გაუკეთებია. ყოველთვის ვალიარებდი, რომ „სარბიელი" ყოველთვის პირველი იყო და ხალხის აზრის პატივისცემაშიც პირველები ხართ. ცუდი ისაა, რომ ნამდვილი ქომაგის აზრს იმ ღრმადპატივცემული ორგანიზაციის ასევე ღრმადპატივცემული ხელმძღვანელები არაფრად აგდებენ, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია ჰქვია.

არადა, როგორი იმედი მქონდა ახალკაცის, ალბათ ყველაზე კოშმარულ სიზმარშიაც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ დიდი ნოდარ ახალკაცის ვაჟი ფედერაციის პრეზიდენტობიდან ნახევარ წელიწადში ყოვლად გაუაზრებელი ნაბიჯებით, არაპროფესიონალიზმით, უაზრო პრინციპებით და სხვა უამრავი საბედისწერო შეცდომებით ისედაც გულგატეხილ ქომაგს კიდევ უფრო თავს ლაფს დაგვასხამდა. ნუთუ ვერ ხვდება, რომ დარსაძის ხელში საქართველოს ნაკრებს მომავალი არა აქვს? ნუთუ ფედერაციაში ვერავინ ხედავს, რომ დარსაძე 17 წლის ბიჭებს, რომლებიც უდავოდ პერსპექტიულები არიან, ნაკრებში ასე ადრეული თამაშით ფსიქოლოგიას უნგრევს და შეიძლება მალე ბურთის გორებაც შეზიზღდეთ?! რა კურსია ამისთანა, დარსაძე-ახალკაცის გარდა პოზიტიურს რომ ვერავინ ხედავს? ნუთუ ჯუნიორი ვერ ხედავს, რომ 15-წლიანი არსებობის მანძილზე ეროვნული გუნდი ასეთი უსუსური, უნიათო და უჯიგრო არასოდეს ყოფილა, როგორც ეს „ყოვლისმცოდნე" გაიოზის ხელშია?! დავიჯერო, ცხონებულ ნოდარ ახალკაცს მოეწონებოდა კი, რაც დღეს საქართველოს ნაკრებში მისი ვაჟის და დარსაძის მეცადინეობით, ხდება?

ნათქვამია, ქვეყანაზე რამდენი კაციცაა, იმდენი აზრიაო. კი ბატონო, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ასობით, ათიათასობით და მილიონობით გულშემატკივარი ერთსულოვანია იმაში, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და დარსაძე კი არ აშენებს, არამედ, ნებით თუ უნებლიეთ ანგრევს. რომ მის ხელში ნაკრები ხროვას დაემსგავსა, რომელიც გამანადგურებელი ანგარიშებით ნაგებებში რეკორდს რეკორდზე ხსნის. ეს არის სწორი კურსი, დღენიადაგ რომ ჩაგვჩიჩინებენ?! ეს არის, ფედერაციის პრეზიდენტი ქედმაღლურად რომ ამბობს ქომაგებთან ინტერვიუში, ჩემს ხელში ქართულ ფეხბურთს ეშველებაო?! ეგ ზღაპრები გერმანიაში რომ დაბრუნდებით, იქ მოყევით თუ დაგიჯერებენ. ქართველ ქომაგს კი ეგრე ადვილად ვერ გააცურებთ, ბატონო ნოდარ.

ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი, მაგრამ დღეს ჩემში ისევე, როგორც გულშემატკივართა უმრავლესობაში, პესიმიზმი ჭარბობს. ამაში კი უპირველესი დამნაშავე ახალკაცი და ალმასკომის ის წევრები არიან, რომლებმაც მხარი დაუჭირეს გაიოზ დარსაძის კანდიდატურას. ის, რაც ოთხშაბათს „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველო — იორდანიის შეხვედრაში ვიხილე, ხალხის აბუჩად აგდებაა და მეტი არაფერი. ეს გამარჯვება ჩემთვის არაფერს ნიშნავს, რადგან მთავარი — საქართველოს ნაკრები ვერ ვიხილე. პირადად მე ძალზედ შეურაცხყოფილი დავრჩი, ხოლო ქომაგთა შეურაცხყოფა დარსაძეს და კომპანიას არ უნდა შერჩეთ.

გული მტკივა, რადგან იორდანიისთვისაც კი საჯილდაო ქვა გავხდით. მატჩისშემდგომი პრესკონფერენციიდან დავრწმუნდი, რომ ბატონ გაიოზს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი ჰქონია, რადგან კვლავ ამაყად გვიმტკიცებს ნაკრების სწორი კურსით სვლას, ხოლო 90 წუთის მანძილზე მსხდომი გულშემატკივრების მისადმი უკმაყოფილება და ხმის ჩახლეჩამდე გუგუნი „დარსაძე, წადი!" რომელიც ლამის საირმის ქუჩაზე სახლში მყოფმა ჩემმა მეუღლემაც გაიგო, თურმე ბატონ გაიოზს ვერ გაუგია, რადგან მთლიანად მატჩზე ყოფილა კონცენტრირებული. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს და, თქვენც სასაცილო ხართ, ბატონო გაიოზ, რადგან ხალხისთვის ყველაზე საყვარელი — ეროვნული ნაკრების წართმევის და უფსკრულში გადაჩეხვის არ გრცხვენია, ხოლო ვაჟკაცურად გადადგომას ვერ ბედავთ.

უკომენტაროდ.

**WEB-ოსტატი ბუარა**

geo_geo_fan@hotmail.com

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | ა. იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, ა. იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 1:0 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, ა. იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | ა. იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | ა. იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 | |
| 83 | 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 | ასათიანი |
| 84 | 11/06/03 | ს | ეჩ | ირლანდია | 0:2 | |
| 85 | 06/09/03 | შ | ეჩ | ალბანეთი | 3:0 | შ. არველაძე 2, აშვეთია |
| 86 | 10/09/03 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:3 | შ. არველაძე |
| 87 | 11/10/03 | ს | ეჩ | რუსეთი | 1:3 | ა. იაშვილი |
| 88 | 18/02/04 | ნ | სტ | რუმინეთი | 0:3 | |
| 89 | 19/02/04 | ნ | სტ | კვიპროსი | 1:3 | გაბიდაური |
| 90 | 20/02/04 | ნ | სტ | სომხეთი | 0:2 | |
| 91 | 27/05/04 | შ | ამ | ისრაელი | 0:1 | |
| 92 | 18/08/04 | ს | ამ | მოლდოვა | 0:1 | |
| 93 | 04/09/04 | ს | მჩ | თურქეთი | 1:1 | ასათიანი |
| 94 | 08/09/04 | შ | მჩ | ალბანეთი | 2:0 | ა. იაშვილი, დემეტრაძე |
| 95 | 13/10/04 | ს | მჩ | უკრაინა | 0:2 | |
| 96 | 17/11/04 | შ | მჩ | დანია | 2:2 | დემეტრაძე, ასათიანი |
| 97 | 09/02/05 | შ | ამ | ლიტვა | 1:0 | აშვეთია |
| 98 | 26/03/05 | შ | მჩ | საბერძნეთი | 1:3 | ასათიანი |
| 99 | 30/03/05 | შ | მჩ | თურქეთი | 2:5 | ამისულაშვილი, ა. იაშვილი |
| 100 | 04/06/05 | ს | მჩ | ალბანეთი | 2:3 | ბურდული, კობიაშვილი |
| 101 | 19/08/05 | ს | მჩ | ყაზახეთი | 2:1 | დემეტრაძე (2) |
| 102 | 03/09/05 | შ | მჩ | უკრაინა | 1:1 | გახოკიძე |
| 103 | 07/09/05 | ს | მჩ | დანია | 1:6 | დემეტრაძე |
| 104 | 08/10/05 | შ | მჩ | ყაზახეთი | 0:0 | |
| 105 | 12/10/05 | ს | მჩ | საბერძნეთი | 0:1 | |
| 106 | 12/11/05 | ს | ამ | ბულგარეთი | 2:6 | ჯაკობია, გოგუა |
| 107 | 16/11/05 | შ | ამ | იორდანია | 3:2 | დემეტრაძე (2), შ. არველაძე |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 69 |
| გოჩა ჯამარაული | 62 |
| ლევან კობიაშვილი | 59 |
| შოთა არველაძე | 55 |
| გიორგი ქინქლაძე | 54 |
| კახა კალაძე | 50 |
| თემურ ქეცბაია | 50 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 45 |
| გიორგი დემეტრაძე | 43 |
| ლევან ცქიტიშვილი | 38 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 37 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| მურთაზ შელია | 28 |
| დავით გვარამაძე | 28 |
| ალექსანდრე იაშვილი | 27 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| გელა შეყილაძე | 22 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| გივი დიდავა | 21 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 21 |
| რევაზ ქემოკლიძე | 20 |
| აკაკი დევაძე | 20 |
| მიხეილ აშვეთია | 20 |
| გიორგი ლომაია | 20 |
| ირაკლი ზოიძე | 19 |
| რატი ალექსიძე | 19 |
| დიმიტრი კუდინოვი | 18 |

## გოლები

| | |
|---|---|
| შოთა არველაძე | 20 |
| თემურ ქეცბაია | 16 |
| გიორგი დემეტრაძე | 11 |
| ალექსანდრე იაშვილი | 9 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| მიხეილ აშვეთია | 5 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| მალხაზ ასათიანი | 4 |
| ლევან კობიაშვილი | 4 |
| დავით ჯანაშია | 3 |
| გოგა გახოკიძე | 3 |

| სახელი გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|
| ვალერი აბრამიძე | მ | 17/01/80 | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | 6 | – |
| კახა ალადაშვილი | ნ | 11/08/83 | დინამო | 1 | – |
| რატი ალექსიძე | თ | 08/09/78 | უგუნდო | 19 | 2 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | დინამო | 9 | 1 |
| არჩილ არველაძე | თ | 22/02/73 | თამაში დაასრულა | 32 | 6 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში დაასრულა | 11 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22/02/73 | ალკმაარი (ჰოლანდია) | 55 | 20 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 18 | 4 |
| დავით ასლანიძე | მკ | 16/11/76 | სიონი | 1 | – |
| თორნიკე აფციაური | ნ | 28/11/79 | ბორჯომი | 2 | – |
| ბალვა ათხაზავა | თ | 04/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 1 | – |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10/11/77 | როსტოვი (რუსეთი) | 20 | 5 |
| ლადო ახალაია | თ | 26/06/82 | უგუნდო | 1 | – |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19/10/70 | თამაში დაასრულა | 2 | – |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07/08/73 | უგუნდო | 3 | – |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში დაასრულა | 8 | – |
| მელორ ბიგვავა | თ | 17/01/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| მიხეილ ბობოხიძე | თ | 23/11/81 | დინამო | 1 | – |
| ვლადიმერ ბურდული | ნ | 26/02/80 | ალანია (რუსეთი) | 15 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ნ | 06/12/79 | ანორთოსისი (კვიპროსი) | 3 | 1 |
| იური გაბისკირია | ნ | 01/09/68 | ბორჯომი | 1 | – |
| გიორგი განუგრავა | ნ | 21/02/88 | ზესტაფონი | 6 | – |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09/11/77 | ტვენტე (ჰოლანდია) | 18 | 3 |
| ირაკლი გემაზაშვილი | მ | 06/07/77 | ჰალეშერი (გერმანია) | 1 | – |
| დავით გვარამაძე | მკ | 08/11/75 | უგუნდო | 28 | – |
| ვასილ გიგიაძე | თ | 03/06/77 | კრივბასი (უკრაინა) | 1 | – |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | თამაში დაასრულა | 27 | 1 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | ბაქო (აზერბაიჯანი) | 5 | – |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | თამაში დაასრულა | 8 | 2 |
| გოგიტა გოგუა | ნ | 04/10/83 | ხიმკი (რუსეთი) | 8 | 1 |
| ბექა გოცირიძე | თ | 16/06/88 | ზესტაფონი | 1 | – |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | დინამო | 10 | – |
| გია გურული | თ | 20/05/64 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06/07/75 | უგუნდო | 5 | – |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | უგუნდო | 1 | – |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18/07/78 | ამერი | 1 | – |
| გიორგი დარასელია | ნ | 17/09/68 | თამაში დაასრულა | 8 | 1 |
| ვიტალი დარასელია | თ | 27/09/78 | ალანია (რუსეთი) | 13 | – |
| აკაკი დევაძე | მკ | 28/11/71 | თამაში დაასრულა | 20 | – |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26/09/76 | ალანია (რუსეთი) | 43 | 11 |
| გივი დიდავა | მ | 26/03/76 | ქოჯაელისპორი (თურქეთი) | 21 | – |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | თბილისი | 1 | – |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21/03/69 | დინამო | 19 | – |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| სევასტი თოდუა | მ | 13/05/76 | ზესტაფონი | 4 | – |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 27 | 9 |
| სანდრო იაშვილი | თ | 03/01/85 | დინამო | 3 | – |
| გელა ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში დაასრულა | 10 | 1 |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02/12/71 | ზესტაფონი | 3 | 1 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ამერი | 1 | – |
| კახა კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 50 | – |
| ილია კანდელაკი | მ | 16/12/81 | ჩერნომორეცი (უკრაინა) | 3 | – |
| ჯაბა კანკავა | ნ | 18/03/86 | ალანია (რუსეთი) | 7 | – |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში დაასრულა | 1 | – |
| კახა კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში დაასრულა | 2 | 1 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11/05/79 | კაუნასი (ლიტვა) | 6 | – |
| კახა კვეკენაძე | ნ | 03/06/70 | უგუნდო | 1 | – |
| დავით კვირკველია | ნ | 27/06/80 | ალანია (რუსეთი) | 15 | – |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26/04/76 | თამაში დაასრულა | 10 | 1 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09/09/68 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10/07/77 | შალკე (გერმანია) | 59 | 4 |
| ლევან კორილაძე | ნ | 21/02/80 | სკონტო (ლატვია) | 3 | – |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში დაასრულა | 18 | 1 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში დაასრულა | 13 | – |
| გიორგი ლომაია | მკ | 08/08/79 | ხიმკი (რუსეთი) | 20 | – |
| ზურაბ მამალაძე | მკ | 10/02/82 | ბორჯომი | 2 | – |
| ლევან მაღრაძე | ნ | 05/12/77 | ქსანთი (საბერძნეთი) | 2 | – |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში დაასრულა | 3 | – |
| მიხეილ მახვილაძე | მ | 22/07/78 | ლოკომოტივი | 1 | – |
| ლევან მელქაძე | თ | 12/12/79 | დინამო | 4 | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | სკონტო (ლატვია) | 15 | 1 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21/07/78 | დინამო | 1 | |
| ლევან მიქაძე | მ | 13/09/73 | მეტალურგსი (ლატვია) | 1 | |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | |
| კახა მქავანაძე | მ | 02/10/78 | ანჟი (რუსეთი) | 13 | |
| ამირან მუჯირი | ნ | 20/02/74 | კალითეა (საბერძნეთი) | 1 | |
| დავით მუჯირი | ნ | 02/01/78 | შტურმი (ავსტრია) | 11 | |
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10/05/72 | თამაში დაასრულა | 69 | |
| გიორგი ნიკურაძე | მკ | 01/10/77 | ამერი | 1 | |
| ლაშა ნიჟაძე | ნ | 18/03/80 | დინამო | 1 | |
| დავით ოდიკაძე | ნ | 14/04/81 | დინამო | 4 | |
| როინ ონიანი | მ | 14/06/75 | ლოკომოტივი | 1 | |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | დილა | 1 | |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში დაასრულა | 11 | |
| ნუკრი რევიშვილი | მკ | 02/03/87 | ტორპედო | 4 | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | ვენტსპილსი (ლატვია) | 21 | |
| ლაშა სალუქვაძე | მ | 21/12/81 | რუბინი (რუსეთი) | 9 | |
| არჩილ სახვაძე | მ | 10/03/78 | დინამო | 1 | |
| ედიკ საჯაია | მ | 16/02/81 | ლოკომოტივი | 9 | |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში დაასრულა | 3 | |
| კახა სიდამონიძე | მ | 17/04/71 | ბათუმი | 5 | |
| ლევან სილაგაძე | მ | 04/08/76 | უგუნდო | 21 | |
| დავით სირაძე | ნ | 20/10/81 | ლოკომოტივი | 2 | |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15/05/72 | თურანი | 10 | |
| ზვიად სტურუა | მკ | 25/04/78 | დინამო | 2 | |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | თამაში დაასრულა | 11 | |
| თემურ ტუღუში | თ | 24/02/72 | თამაში დაასრულა | 3 | |
| გოჩა ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში დაასრულა | 1 | |
| გია ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში დაასრულა | 1 | |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02/06/72 | უგუნდო | 4 | |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12/08/75 | თამაში დაასრულა | 4 | |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | დინამო | 20 | |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანორთოსისი (კვიპროსი) | 50 | 16 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | რუბინი (რუსეთი) | 54 | 8 |
| გიორგი ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | თამაში დაასრულა | 8 | |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | უგუნდო | 45 | 8 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში დაასრულა | 8 | 2 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12/08/78 | უგუნდო | 2 | |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | ალანია (რუსეთი) | 11 | |
| მურთაზ შელია | მ | 25/03/69 | თამაში დაასრულა | 28 | |
| გელა შეყილაძე | მ | 14/09/70 | თამაში დაასრულა | 22 | |
| დავით ჩალაძე | თ | 22/01/76 | სკონტო (ლატვია) | 4 | 1 |
| გოჩა ჩიქოვანი | ნ | 12/10/62 | თამაში დაასრულა | 1 | |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | თამაში დაასრულა | 24 | |
| გია ჩხაიძე | მ | 23/02/70 | დინამო სოხუმი | 3 | |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | ზესტაფონი | 1 | |
| დავით ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში დაასრულა | 3 | |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | ვოლფსბურგი (გერმანია) | 38 | 1 |
| კახა ცხადაძე | მ | 07/09/68 | თამაში დაასრულა | 23 | 1 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | ტორპედო | 2 | |
| მამუკა წერეთელი | მ | 17/01/79 | დინამო სოხუმი | 12 | |
| რატი წინამძღვრიშვილი | თ | 22/03/88 | ამერი | 2 | |
| გიორგი ჭანკოტაძე | ნ | 04/10/77 | თამაში დაასრულა | 3 | |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ლოკომოტივი | 2 | |
| სოსო ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში დაასრულა | 1 | |
| დავით ჭიჭველაშვილი | ნ | 23/01/75 | ატირაუ (ყაზახეთი) | 3 | |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ამერი | 1 | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | ბლექბერნი (ინგლისი) | 37 | |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | ფრაიბურგი (გერმანია) | 13 | |
| დავით ხმელიძე | მკ | 28/04/79 | სპარტაკი (ჩელიაბინსკი, რუსეთი) | 1 | |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05/10/75 | უგუნდო | 2 | |
| ლაშა ჯაკობია | თ | 20/08/80 | მეტალისტი (უკრაინა) | 6 | 1 |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23/07/71 | თამაში დაასრულა | 62 | 6 |
| დავით ჯანაშია | თ | 07/08/72 | ტორპედო | 10 | 3 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10/02/76 | უგუნდო | 9 | 4 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში დაასრულა | 2 | |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16/12/73 | დინამო სოხუმი | 3 | |
| მამუკა ჯიქია | ნ | 11/12/75 | ლკს (ლოძი, პოლონეთი) | 3 | |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში დაასრულა | 8 | 1 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | ამერი | 2 | |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

# გამოცხადებული ომის ქრონიკა

## თურქებს ცხრაში განსჯიან

**თურქეთი 4:2 *შვეიცარია* (0:2)**
0:1 ფრაი (23), 1:1, 2:1 თუნჯაი (22, 38), 3:1 ნეჯატი (52პ), 3:2 შტრელერი (84), 4:2 თუნჯაი (89)
**თურქეთი:** ვოლქანი, ალფაი, ერგუნი, თოლგა, ჰამიტ ალტინტოპი, სელჩუკი, თუნჯაი (თუმერი 70), ნეჯატი, ემრე (ბაშთურქი 82), შუქური, სერჰათი (ფათიჰ ტეკე 81)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, მიულერი, შპიხერი, სენდეროსი, დეგენი, ფოგელი, ვიკი, კაბანასი, ბარნეტა (ბეჰრამი 46; ჰუგელი 87), ფრაი, გიგაქსი (შტრელერი 33)
მწვრთნელი: იაკობ კუნი
გაფრთხილება: დეგენი, სელჩუკი, ემრე, თოლგა, ცუბერბიულერი, ერგუნი, ბეჰრამი, თუმერი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
42 000 მაყურებელი



**ჩხუბი იყო,** თან იცით, როგორი? — ფიფასგან „მოწონებული".

დაწვრილებით მივყვეთ: სტამბოლში ჩასულ შვეიცარიელებს ავტობუსი კვერცხით და მაწვნით გაუთხუპნეს. სასტუმროში დაბინავებულებს ნორმალურად დაძინების საშუალება არ მისცეს. ძილგატეხილმა შვეიცარიელებმაც მატჩის მეორე წუთზე ანგარიში პენალტით გახსნეს, რომელიც ბელგიელმა მსაჯმა ფრანკ დე ბლეეკერმა ხელით თამაშისთვის დანიშნა.

ისედაც გადარეულ ოსმალოებს ეს უნდოდათ?

0:1-ზე თურქებს სამი საპასუხო გოლიც აღარ ჰყოფნიდათ და დაიწყო ძვალთა მტვრევა. ტრიბუნებიდან ნაგავი დაუსრულებლად მოფრინავდა.

თურქებმა გაილაღეს: თუნჯაიმ ჯერ ერთი შეაგდო, მერე მეორე. ეს ნიშნავდა, რომ მასპინძლებს ორი გოლის გატანაღა სჭირდებოდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ნეჯატიმ პენალტით სხვაობა ორამდე გაზარდა და ჰაქან შუქურმა და მეკარე ვოლქან დემირელმა შვეიცარიის ნაკრების სათადარიგო ფეხბურთელთა თვალწინ ტაშ-ფანდური გამართეს, რამაც სტუმრები, ცხადია, გააბრაზა.

დამხვდურთა ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა: 84-ე წუთზე მარკო შტრელერმა მეორე გაიტანა და ოსმალოებს საქმე ორმაგად გაურთულა. შტრელერმა და მისმა თანაგუნდელებმა, ვოლქან-შუქურის მსგავსად, თურქი სათადარიგოების ცხვირწინ წაიცეკვეს და აქედან დაიწყო ის, რასაც საბოლოოდ, დიდი ჩხუბი მოჰყვა. თუნჯაიმ 89-ზე მეოთხე შეაგდო, მაგრამ მეტის გასატანად თურქებს დრო აღარ ჰყოთ.

მატჩის დასრულებისთანავე, შვეიცარიელებს წესით, უნდა ეზეიმათ, თუმც ისინი გასახდელისკენ გაიქცნენ და აქ დაიწყო დაკა-დაკა. როგორც უნდა დასრულებულიყო ეს თამაში, თურქები მუშტს მაინც გაიქნევდნენ.

გასახდელისკენ გაქცეულ შვეიცარიელებს ფათიჰ თერიმის თანაშემწე გადაელობა, რომელსაც ბენჟამინ ჰუგელმა კვანტი გამოსდო და ხელი ჰკრა.

თურქთა შორის ყველაზე „ემოციდიც" ალფაი ოზალანს მეტი არც უნდოდა. ის ხომ ამ საქმეში „ჭიპმოჭრილია". თავის დროზე მან გაიქნია მუშტი ინგლისთან და დანიასთან. აბა, შვეიცარიასთან რატომ დაიზარებდა? ალფაიმ ჰუგელს მაისურზე დაქაჩა, როგორ თუ შენ ჩვენს მწვრთნელს ფეხი გამოსდეო და დაკა...

გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში რამდენიმე ფრონტი გაიხსნა. ვინ ვის ურტყამდა, ძნელი გასარკვევი იყო. ალფაი ოზალანი მეტოქეებს მუშტით დაერია, ემრე ბელოზოღლუმ კი (პატარაა, მაგრამ დიდი გული აქვს) კამერიანი ოპერატორებისთვის მოიცალა და მათი აპარატურის მსხვრევა დაიწყო. ამ არეულობაში სრულიად უდანაშაულო, შვეიცარიის ნაკრების სათადარიგო მოთამაშე, შტეფან გრიხტინგი დაზარალდა. მას ვიღაცამ ფეხებშუა ისე გამეტებით ჩასცხო წიხლი, რომ „ოსერის" მცველი საავადმყოფოში გააქანეს.

თურქები იწევდნენ მეტოქისკენ და მსაჯებისკენაც, თუმც მასპინძელ ფეხბურთელთა შორის ერთიორი მშვიდობის მოსურნე გამოერია და გახელებული თანაგუნდელების დაწყნარება შეძლო.

გვირაბში ფეხბურთელები ჩხუბობდნენ, სტადიონის შესასვლელთან კი სტამბოლის თითქმის მთელი პოლიცია აქეთ-იქით სირბილით გაოფლიანდა.

შვეიცარიელი ფანები სტადიონიდან ველარ გამოდიოდნენ. ორასამდე გაავებული თურქი ფანი სტუმართა ქომაგებს ჩაუსაფრდა და მათ დალილავებას აპირებდა. „აქ ქადიქოია (უბანია სტამბოლში), აქედან გასასვლელი არ არსებობს" — გაჰკიოდნენ სელჩუკები. შეშინებული შვეიცარიელები თურმე „თავს უშველე"-ს ძახილით გარბოდნენ და ღობე-ყორეს ედებოდნენ. პოლიციამ ბოლოს იყოჩაღა და ჩასაფრებულები დაშალა, ხოლო გაფითრებული სტუმრები გააცილა.

ცალკე ამბავია თურქეთის ნაკრების ფეხბურთელთა გასვლა: ქომაგებმა მხოლოდ შვეიცარიელებს კი არ სდიეს, თავიანთი ეროვნული გუნდიც არ დაინდეს. ოსმალოების ფეხბურთელებს გულშემატკივართა ჯგუფი აედევნა და ავტობუსი ქვებით „დაბომბა", აქაოდა, უკეთ რომ გეთამაშათ, მოიგებდითო. ფეხბურთელები გვარიანად დაშინდნენ.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მასპინძელთა ფანებმა შვეიცარიელებიც შეურაცხყვეს. კუთვნილ ადგილზე მოკალათებულ მასმედიელებს მაწონი და ლუდი გადაასხეს. აქაც ფორმიანთა ჩარევა გახდა საჭირო, რომლებმაც აგრესორები შვეიცარიელ სტუმრებს მოაშორეს.

ფიფას პრეზიდენტმა, იოზეფ ბლატერმა, რომელიც შვეიცარიელია, თურქთა საქციელი დაგმო. „მე ვფიქრობ, რომ სამართლიანი თამაშის წესი დაირღვა — განაცხადა პრეზიდენტმა გუშინ — ამას ვამბობ არა როგორც შვეიცარიელი, არამედ, როგორც ფიფას თავკაცი. თურქეთი მკაცრად უნდა დაისაჯოს".

დამარცხებულმა „იმპერატორმა", ფათიჰ თერიმმა ბოღმა ამოანთხია: „ბერნშიც და სტამბოლშიც მსაჯები უნამუსოდ მოიქცნენ. იქ პენალტი არ მოგვცეს, აქ კი ჩვენს საწინააღმდეგოდ დანიშნეს. ევროპელები თურქ ხალხს ზემოდან უყურებენ და თავი ცივილიზებული ჰგონიათ".

შვეიცარიელთა მწვრთნელი, იაკობ კუნი — გახარებული, დაღლილი და სტამბოლური ჩხუბისგან ნერვებაშლილი — საავადმყოფოში გააქანეს. ვერ გაუძლო კაცმა...

მომხდარს ფიფა 9 დეკემბერს გაარჩევს. თურქებს, ალბათ, დასჯიან და, სავარაუდოდ, სამი საშინაო მატჩის უმაყურებლოდ თამაში მოუწევთ.

**რომან თურქია**





შვეიცარიელებს სიხარული არ დასცალდათ: მსაჯმა ჩაუსტვინა და დაიწყო...

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩები




ივან ჰოლოშკოს გოლმა ვერაფერიც ქნა

## ლუის დაუმარცხებელი

**სლოვაკეთი 1:1 *ესპანეთი* (1:5)**
1:0 ჰოლოშკო (50), 1:1 ვილია (71)
**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, ზაბავნიკი, შკრტელი, კრატოხვილი, დიურიცა, ჰლინკა, ჰოდური (ჰოლოშკო 46), გრეშკო (მ. ჩეხი 77), კრაიჩიკი, ვიტეკი, ნემეტი (ფოდრეკი 84)
**მწვრთნელი:** დუშან გალიჩი
**ესპანეთი:** კასილიასი, სალგადო, პუიოლი, პაბლო, ა. ლოპესი, ბარახა, ხავი (სერხიო რამოსი 74), ხაბი ალონსო, ვისენტე, რაული (მორიენტესი 65), ფ. ტორესი (ვილია 62)
**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი
**გაფრთხილება:** დიურიცა
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)
23 000 მაყურებელი

**დავიდ ვილიამ** ესპანეთის ნაკრების მაისურით თავისი პირველი გოლი შეაგდო და სტუმრებმაც სლოვაკეთიდან საერთო ჯამში 6:2 იმარჯვეს. შედეგად, მუნდიალის საგზური მოიპოვეს — „ვალენსიას“ ფორვარდმა თავი 71-ე წუთზე გამოიჩინა, როცა ფერნანდო მორიენტესის პასი შეირგო და კამილ ჩონტოფალსკის თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი.

ანგარიში კი სლოვაკებმა გახსნეს — მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ივან ჰოლოშკომ მომხდურებს ძლიერი დარტყმით გაუტანა.

სლავები გასულ შაბათს „ვისენტე კალდერონზე“ 1:5 განადგურდნენ და შინაურ „ტეჰელნე პოლეზე“ მხოლოდ სასწაულიღა თუ უშველიდათ. მიუხედავად ამისა, დუშან გალიჩის ნაკრებს ფარ-ხმალი არ დაუყრია და მოსაგებად შეუპოვრად იბრძოლა — ადგილობრივთა მცველმა იან დიურიცამ გადამეტებული აქტიურობისთვის ყვითელი ბარათი უკვე შეხვედრის მერვე წუთზე მიიღო.

სლოვაკთა არენა მატჩამდე წვიმამ მოსპო და მოწინააღმდეგეებს კომბინაციური თამაშის საშუალებაც ნაკლებად ჰქონდათ. მე-17 წუთზე წესით, კრაიჩეკს უნდა გაეტანა, თუმც ანტონიო ლოპესი მას დროულად ჩაუწვა.

მერე ლუის არაგონესის ბიჭებიც გამოფხიზლდნენ და იქაურებს რამდენჯერმე გაუხეთქეს გული — რაულმა მარტინ შკრტელი მოატყუა და ძლიერად დაარტყა, ოღონდ ბურთმა ჩონტოფალსკის კარის ძელს გარედან ჩაუქროლა. ხელსაყრელი ეპიზოდები ივან ელგერამ და ფერნანდო ტორესმაც გააცუდეს, ხოლო შესვენებამდე 10 წუთით ადრე, სლოვაკი შილარდ ნემეტიც აფეთქდა, მაგრამ...

მეორე ტაიმში ივან ჰოდურის ნაცვლად დუშან გალიჩმა ჰოლოშკო შეუშვა მინდორზე, რომელსაც მწვრთნელის იმედები არ გაუცრუებია. 50-ე წუთზე ჰოლოშკომ ბურთი ესპანელთა საჯარიმოს სიახლოვეს გაიგდო და იკერ კასილიასს მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა. ცოტა ხანში ტორესს გათანაბრება შეეძლო, თუმც საყამო გოლის ავტორობა ოთხშაბათს დავიდ ვილიას ეწერა — ვალენსიელმა მორიენტესის პასს ჩონტოფალსკის კარში მიუჩინა ადგილი.

„რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. ფაქტია, დღეს ესპანეთი ჩვენზე ძლიერია და 1:5 წაგების მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას ველარ შევძლებდით“ — აღნიშნა მატჩის მერე დუშან გალიჩმა, სლოვაკთა დამრიგებელმა.

„ესპანეთის გარეშე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ვერ წარმომედგინა. მე ჩემი ბიჭების შესაძლებლობები კარგად ვიცი და მუნდიალზე საპრიზო ადგილსაც არ გამოვრიცხავ“ — ეს კი ლუის არაგონესის, ესპანელთა მწვრთნელის სიტყვებია.

ერთი სიტყვით, ლუის არაგონესი ჯერჯერობით დაუმარცხებელია, მას შემდეგ, რაც მან ეროვნული გუნდი ჩაიბარა, ესპანეთის ნაკრებმა 18 მატჩი ჩაატარა და ერთხელაც არ წაუგია.

**ლადო ხომერიკი**

## როსიცკის უმნიშვნელოვანესი გოლი




ახლა ზეიმის დროა — ჩეხები მუნდიალზე გასვლას ხარობენ

***ჩეხეთი* 1:0 ნორვეგია (1:0)**
1:0 როსიცკი (35)
**ჩეხეთი:** პ. ჩეხი, გრიგერა, როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი, პობორსკი, როსიცკი (რადოსლავ კოვაჩი 68), პოლაკი, ნედვედი, შმიცერი (სტაინერი 75), ბაროში (პლასილი 90)
**მწვრთნელი:** კარელ ბრუკნერი
**ნორვეგია:** მირე, ჰოილანდი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ჰელსტადი (არსტი 59), ჰესტადი, სტრომსტადი, მ. პედერსენი, რიისე (მ. იონსენი 90), კარეუ, ივერსენი (სოლი 46)
**მწვრთნელი:** აგე ჰარეიდე
| 17081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17140 | უდინეზე-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17141 | რომა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17142 | კიევო-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ფიორენტინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ლეჩე-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ლივორნო-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17146 | რეჯინა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | სამპდორია-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ინტერი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ბილბაო-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | კადისი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17184 | სელტა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17188 | მალაგა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | რეალი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17190 | რასინგი-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17191 | სევილია-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | უიგანი-არსენალი | 4.40 | 2.00 | 2.30 | 1.37 | 1.51 | 1.06 |
| 10002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 4.40 | 2.00 | 2.35 | 1.37 | 1.53 | 1.08 |
| 10004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.50 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.21 | 1.80 |
| 10006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.60 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.26 | 1.66 |
| 10007 | სიტი-ბლექბერნი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2.05 | 2.00 | 4.80 | 1.01 | 1.43 | 1.41 |
| 10011 | მიდლსბრო-ფულემი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3.25 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.50 | 1.16 |
| 10074 | არმინია-ბაიერნი | 5.80 | 2.30 | 1.70 | 1.64 | 1.31 | 1.00 |
| 10076 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10078 | კიოლნი-შალკე | 4.00 | 2.00 | 2.40 | 1.33 | 1.50 | 1.09 |
| 10080 | მაინცი-აინტრახტი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 2.20 | 5.30 | 1.00 | 1.37 | 1.55 |
| 10083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.60 | 2.50 | 6.20 | 1.00 | 1.27 | 1.78 |
| 10084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 2.05 | 2.00 | 4.90 | 1.01 | 1.44 | 1.42 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10140 | უდინეზე-მესინა | 1.90 | 2.00 | 5.00 | 1.00 | 1.37 | 1.42 |
| 10141 | რომა-იუვენტუსი | 3.50 | 2.00 | 2.60 | 1.27 | 1.49 | 1.13 |
| 10142 | კიევო-ასკოლი | 2.00 | 2.00 | 5.20 | 1.00 | 1.44 | 1.44 |
| 10143 | ფიორენტინა-მილანი | 3.45 | 2.00 | 2.65 | 1.26 | 1.49 | 1.13 |
| 10144 | ლეჩე-სიენა | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10145 | ლივორნო-ემპოლი | 2.20 | 2.00 | 4.70 | 1.04 | 1.49 | 1.40 |
| 10146 | რეჯინა-კალიარი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10147 | სამპდორია-ლაციო | 2.20 | 2.00 | 4.60 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10150 | ინტერი-პარმა | 1.50 | 2.60 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 1.89 |
| 10182 | ბილბაო-ალავესი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10183 | კადისი-ვალენსია | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10184 | სელტა-ატლეტიკო | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10185 | ესპანიოლი-მალიორკა | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10186 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10188 | მალაგა-სოსიედადი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10189 | რეალი-ბარსელონა | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10190 | რასინგი-დეპორტივო | 3.10 | 2.00 | 3.00 | 1.21 | 1.52 | 1.20 |
| 10191 | სევილია-ბეტისი | 2.40 | 2.00 | 4.10 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2.20 | 2.00 | 4.70 | 1.04 | 1.49 | 1.40 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | უიგანი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ჩელსი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ლივერპული-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | სიტი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მიდლსბრო-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | არმინია-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | კიოლნი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | მაინცი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | უდინეზე-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | რომა-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | კიევო-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ფიორენტინა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ლეჩე-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ლივორნო-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | რეჯინა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | სამპდორია-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ინტერი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ბილბაო-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | კადისი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | სელტა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | ესპანიოლი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | მალაგა-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | რეალი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | რასინგი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | სევილია-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | უიგანი-არსენალი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 3.80 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.50 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11007 | სიტი-ბლექბერნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2.45 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11011 | მიდლსბრო-ფულემი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11074 | არმინია-ბაიერნი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11076 | დორტმუნდი-ჰერტა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11077 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11078 | კიოლნი-შალკე | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11080 | მაინცი-აინტრახტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11081 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11140 | უდინეზე-მესინა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11141 | რომა-იუვენტუსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11142 | კიევო-ასკოლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11143 | ფიორენტინა-მილანი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11144 | ლეჩე-სიენა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11145 | ლივორნო-ემპოლი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11146 | რეჯინა-კალიარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.20 |
| 11147 | სამპდორია-ლაციო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11150 | ინტერი-პარმა | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11182 | ბილბაო-ალავესი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11183 | კადისი-ვალენსია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11184 | სელტა-ატლეტიკო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11185 | ესპანიოლი-მალიორკა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.20 |
| 11186 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11188 | მალაგა-სოსიედადი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11189 | რეალი-ბარსელონა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11190 | რასინგი-დეპორტივო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11191 | სევილია-ბეტისი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | უიგანი-არსენალი | 2.30 | 1.60 |
| 14002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 2.20 | 1.65 |
| 14004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.06 | 2.80 |
| 14006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.15 | 2.50 |
| 14007 | სიტი-ბლექბერნი | 1.65 | 2.20 |
| 14008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.90 |
| 14009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 14010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.40 | 2.40 |
| 14011 | მიდლსბრო-ფულემი | 1.45 | 2.30 |
| 14012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1.90 | 1.90 |
| 14074 | არმინია-ბაიერნი | 2.50 | 1.30 |
| 14076 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 1.65 | 2.20 |
| 14078 | კიოლნი-შალკე | 2.10 | 1.75 |
| 14080 | მაინცი-აინტრახტი | 1.75 | 2.10 |
| 14081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.80 | 2.00 |
| 14082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.40 | 2.40 |
| 14140 | უდინეზე-მესინა | 1.30 | 2.50 |
| 14141 | რომა-იუვენტუსი | 2.00 | 1.80 |
| 14142 | კიევო-ასკოლი | 1.30 | 2.50 |
| 14143 | ფიორენტინა-მილანი | 2.00 | 1.80 |
| 14144 | ლეჩე-სიენა | 1.80 | 2.00 |
| 14145 | ლივორნო-ემპოლი | 1.60 | 2.30 |
| 14146 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 2.20 |
| 14147 | სამპდორია-ლაციო | 1.60 | 2.30 |
| 14150 | ინტერი-პარმა | 1.06 | 2.90 |
| 14182 | ბილბაო-ალავესი | 1.60 | 2.30 |
| 14183 | კადისი-ვალენსია | 2.00 | 1.80 |
| 14184 | სელტა-ატლეტიკო | 1.80 | 2.00 |
| 14185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.75 | 2.10 |
| 14186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.80 | 2.00 |
| 14188 | მალაგა-სოსიედადი | 1.75 | 2.10 |
| 14189 | რეალი-ბარსელონა | 1.80 | 2.00 |
| 14190 | რასინგი-დეპორტივო | 1.90 | 1.90 |
| 14191 | სევილია-ბეტისი | 1.65 | 2.20 |
| 14192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.60 | 2.30 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | უიგანი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | სიტი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მიდლსბრო-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | არმინია-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13078 | კიოლნი-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13080 | მაინცი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.10 |
| 13082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.70 | 1.90 |
| 13140 | უდინეზე-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13141 | რომა-იუვენტუსი | 1.60 | 2.00 |
| 13142 | კიევო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13143 | ფიორენტინა-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13144 | ლეჩე-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13145 | ლივორნო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13146 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13147 | სამპდორია-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13150 | ინტერი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13182 | ბილბაო-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13183 | კადისი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13184 | სელტა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13188 | მალაგა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13189 | რეალი-ბარსელონა | 1.55 | 2.10 |
| 13190 | რასინგი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13191 | სევილია-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | უიგანი-არსენალი | 1.60 | 2.00 |
| 12002 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | ლივერპული-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | სიტი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.00 |
| 12009 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მიდლსბრო-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12074 | არმინია-ბაიერნი | 2.00 | 1.60 |
| 12076 | დორტმუნდი-ჰერტა | 2.00 | 1.60 |
| 12077 | ლაუტერნი-ნიურნბერგი | 2.00 | 1.60 |
| 12078 | კიოლნი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12080 | მაინცი-აინტრახტი | 1.90 | 1.70 |
| 12081 | გლადბახი-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 12082 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2.20 | 1.50 |
| 12083 | ჰამბურგი-დუისბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12084 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12140 | უდინეზე-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12141 | რომა-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 12142 | კიევო-ასკოლი | 1.60 | 2.00 |
| 12143 | ფიორენტინა-მილანი | 1.90 | 1.70 |
| 12144 | ლეჩე-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12145 | ლივორნო-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12146 | რეჯინა-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12147 | სამპდორია-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12150 | ინტერი-პარმა | 2.00 | 1.60 |
| 12182 | ბილბაო-ალავესი | 1.60 | 2.00 |
| 12183 | კადისი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12184 | სელტა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12185 | ესპანიოლი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12186 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12188 | მალაგა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12189 | რეალი-ბარსელონა | 2.00 | 1.60 |
| 12190 | რასინგი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12191 | სევილია-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12192 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |

# კინო ათ წუთში მორჩა

## პირველი წრე ულიმღამოდ დაიხურა

17 ნოემბერი. ვერის ბაღი

**თსუ-ნიკორა 105:71 სსუ**

*23:19 26:18 26:16 30:18*

**თსუ-ნიკორა:** ი. ბერიშვილი (17), ლეჟავა (17), ფანჩულიძე (9), ლომიძე (2), მუშკუდიანი (4); მარხვაშვილი (20), ვეფხვაძე (4), შარაბიძე (5), კეშელავა (10), სანიკიძე (8), ხიზანიშვილი (7), ბერაია (2)

**სსუ:** თორთლაძე (22), პატარაია (12), კორძაძე (5), გოლეთიანი (6), ლ. ნოზაძე (3); ჯიქია (2), ჯგერენაია (6), ბენდიანიშვილი (6), მოდებაძე (2), ქვილითაია (7)

**მსაჯები:** მალხაზ ანდღულაძე, დავით არეშიძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 102:69 ქუთაისი**

*28:16 26:22 28:11 20:20*

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (10), ხოშტარია (12), მარკოიშვილი (22), ორმოცაძე (6), ბ. ნოზაძე (11); ნიკოლაძე (9), ბ. ბერიშვილი (3), ნინიაშვილი (11), ჩხატარაშვილი (8), მინაშვილი (10)

**ქუთაისი:** გ. ლოსაბერიძე (12), პირტახია (1), ნიჟარაძე (8), ცერცვაძე (9), კოლუაშვილი (28); მამისეიშვილი (4), ყიფიანი (5), ჭულუხაძე (2)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

17 ნოემბერი. რუსთავი

**აზოტი 85:90 სტუ**

**ირაკლი პერტაია**

**გუშინ** ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ულიმღამოდ გასრულდა. ოთხმატჩიანი ტურის ყველაზე უფერულ შეხვედრებს ვერის ბაღმა უმასპინძლა, მეტ-ნაკლებად საინტერესო თამაში კი რუსთავში იყო დანიშნული. მეოთხე შეხვედრა, „დინამო“ — „მაკაბი“ ამ უკანასკნელის ისრაელში გამგზავრების გამო გადაიდო.

ახლა თბილისურ მატჩებზე გიამბობთ, მაგრამ, გულახდილად გითხრათ, მოსაყოლი არც არაფერია.

ერთი შეხედვით, ეს მატჩები სხვა შეხვედრებისგან არ განსხვავდებოდნენ, მოთამაშეები დარბოდნენ და ბურთს კალათში ხან აგდებდნენ, ხან ვერა, თუმც როცა ყველაფერი წინასწარაა ცნობილი, გული არ მიგდის, ყველა ნიუანსს მიაქციო ყურადღება და მერე ეს ფურცელზე გადაიტანო.

ჩემპიონატის ორი ლიდერი ორ აუტსაიდერს ხვდებოდა. წაუგებელი „თსუ-ნიკორას“ მეტოქე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი გახლდათ, „ავიამშენი“ კი უფრო სუსტ „ქუთაისს“ ეთამაშებოდა.

ვინც ქართულ კალათბურთში ჩახედულია, მიხვდებოდა, რომ ხსენებული მატჩების შედეგები წინასწარ იყო ცნობილი. საკითხავი მხოლოდ ის იყო, ლიდერები სუსტებს როგორი სხვაობით მოუგებდნენ — შეარცხვენდნენ თუ ზომიერი სხვაობით მარცხს აკმარებდნენ.

ისე, არც ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან საქართველოს ჩემპიონატი ის ტურნირი არ არის, გუნდები ბურთების ბალანსს აქცევდნენ ყურადღებას.

ერთი სიტყვით, თსუ — სსუ-ს მატჩი დაიწყო და რაც შეიძლებოდა საინტერესო მოხდარიყო, პირველმა მეოთხედმა დაიტია. სანამ ნიკორელები თამაშის ეშხში შევიდოდნენ, სოხუმელებმა გალიდერება მოასწრეს. დავით თორთლაძემ, ბექა გოლეთიანმა, გიორგი ჯგერენაიამ და შოთა პატარაიამ 5 სამქულიანი მიითვალეს და სსუ 19:15 დაწინაურდა.

ეს სერიოზული განაცხადი იყო პირველი ათწუთეულის მოგებაზე, თუმც თსუ-მ მეტოქეს არც ეს დაანება. პირველ შესვენებამდე დარჩენილი ორიოდე წუთი ნიკორელებმა 8:0 ჩაითამაშეს, რაშიც ირაკლი ბერიშვილის მარჯვე ხელი ერია და თსუ-მ საწყისი მეოთხედი 23:19 მოიგო.

ჰოდა, „მორჩა კინო“, ამის მერე საინტერესო აღარაფერი მომხდარა, თსუ-მ თამაშის იშტაზე მოვიდა და საფინალო სირენამდე ღიღინ-ღიღინით მივიდა. მეტოქე მთლად არ შეურცხვენია, 34-ქულიანი მარცხი აკმარა.

მომდევნო შეხვედრას არც ის საერთმეოთხედო ინტრიგა ახლდა, რომელიც თსუ — სსუ-ს მატჩში ვიხილეთ. „ავიამშენმა“ პირველივე წუთიდან რომ დაიწყო ქუთაისელთა კალათის რბევა, ბოლო წუთამდე არ გაჩერებულა. ეგაა, ეპიზოდებში მოეშვებოდნენ ლევან მოსეშვილის შეგირდები და ქუთაისელებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდნენ. საბოლოოდ ავიატორებმა 102:69 მოიგეს და პირველი წრე „თსუ-ნიკორას“ ზურგსუკან გაასრულეს.




ქუთაისელი ვიქტორ კოლუაშვილი (№15) მატჩის ბომბარდირი გახდა

16 იანვარი

**ტორონტო 121:115 ფილადელფია**

**ტორონტო:** მ. ჯეიმსი (38 ქულა, 9 პასი), ბოში (23 ქულა, 10 მოხსნა)

**ფილადელფია:** აივერსონი (42 ქულა, 7 პასი), იგუოდალა (26 ქულა, 10 მოხსნა), ვებერი (21 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი)

**ბოსტონი 100:113 სიეტლი**

**ბოსტონი:** პირსი (22 ქულა, 6 მოხსნა), რ. დევისი (21 ქულა, 9 პასი)

**სიეტლი:** ალენი (32 ქულა, 7 მოხსნა), რ. ლიუისი (22 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), რიდნური (15 ქულა, 13 პასი)

**შარლოტი 122:90 ინდიანა**

**შარლოტი:** რაში (35 ქულა), ოკაფორი (20 ქულა, 12 მოხსნა), ფელტონი (18 ქულა, 5 მოხსნა, 10 პასი)

**ინდიანა:** არტესტი (27 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი), ს. ჯექსონი (18 ქულა), ჯ. ონილი (17 ქულა, 8 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 81:91 დენვერი**

**ნიუ ორლეანი:** პოლი (18 ქულა, 9 მოხსნა), ვესტი (16 ქულა, 9 მოხსნა)

**დენვერი:** ენტონი (31 ქულა), კემბი (15 ქულა, 15 მოხსნა), ა. მილერი (15 მოხსნა, 9 მოხსნა, 6 პასი)

**ფინიქსი 103:115 მემფისი**

**ფინიქსი:** მერიონი (23 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (17 ქულა, 13 პასი), ბარბოსა (17 ქულა, 6 მოხსნა)

**მემფისი:** დ. სტუდემაიერი (26 ქულა, 7 პასი), მ. მილერი (24 ქულა, 8 მოხსნა), ბატიე (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ლეიკერსი 97:92 ნიუ იორკი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (42 ქულა, 5 მოხსნა), მიმი (14 ქულა, 9 მოხსნა), ოდომი (13 ქულა, 9 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** ფრაი (21 ქულა), კარი (17 ქულა, 7 მოხსნა), ლი (10 ქულა, 11 მოხსნა)

**პორტლენდი 96:93 ჩიკაგო**

**პორტლენდი:** რენდოლფი (22 ქულა, 10 მოხსნა), დიქსონი (16 ქულა), მაილსი (14 ქულა, 5 მოხსნა)

**ჩიკაგო:** სვიტნი (24 ქულა, 14 მოხსნა), ნოჩიონი (18 ქულა, 7 მოხსნა), გორდონი (15 ქულა)

**გოლდენ სტეიტი 87:90 მილუოკი**

**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (21 ქულა, 8 მოხსნა), პიტრუსი (18 ქულა), მერფი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**მილუოკი:** რედი (27 ქულა), სიმონსი (20 ქულა, 11 მოხსნა), ბოგუტი (9 ქულა, 11 მოხსნა)

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფინიქსს უმარეოდ უჭირს



დეიმონ სტუდემაიერმა (მარჯვნივ) „ფინიქსთან“ 26 ქულა მოაგროვა

**გასული** სეზონის რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულს — „ფინიქს სანსს“ წლეულს ძალიან უჭირს. გუნდი საკმაოდ ცუდად ასპარეზობს, განსაკუთრებით შინ — 5 ჩატარებული მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური მიზეზიც გააჩნია — გუნდს არ ჰყავს გასული სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე ამარე სტუდემაიერი, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ გაამართლებთ. „მზეების“ მწვრთნელმა მაიკ დანტონიმ ან გუნდის თამაში უნდა გადააწყოს, ან რაიმე სიახლე შეიტანოს, თორემ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ამარე დაახლოებით თებერვლის შუა რიცხვებამდე ვერ ითამაშებს, ხოლო თუ გუნდმა ასეთი „წარმატებით“ გააგრძელა გამოსვლა, ამ დროისთვის არიზონელებს შეიძლება, სულ დაეკარგოთ პლეი ოფში მოხვედრის შანსები.

გუშინ „ფინიქსმა“ „მემფისთან“ წააგო, რომელსაც თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სტარტი აქვს.

„სანსს“ იგივე პრობლემა აწუხებს, რაც შარშან — გუნდი დაცვაში საკმაოდ სუსტად გამოიყურება. გასულ სეზონში ეს იმდენად არ ჩანდა, რადგან გუნდი უფრო ხშირად თვითონ მეტს აგდებდა მეტოქის კალათში, წლეულს კი ფინიქსის ამ თამაშს მეტოქეებმა ალღოც აუღეს, და ახლა არიზონელებს ამარე სტუდემაიერიც ვერ ეხმარებათ, რომელიც თამაშში საშუალოდ 30 ქულამდე იხვეჭდა. ახლაც, „მემფისს“, რომელიც საშუალოდ 90 ქულას აგდებდა, ფინიქსელებმა 115 ჩააგდებინეს.

„მემფისის“ წარმატების მთავარ იარაღად გუნდური თამაში იქცა — „გრიზლების“ ხუთმა კალათბურთელმა 10-ქულიან ზღვარს გადააჭარბა. მართალია, ფინიქსმა შეძლო მეტოქის ლიდერის, ესპანელი პაუ გასოლის შეზღუდვა (14 ქულა, 10 მოხსნა), მაგრამ ამის გამო სივრცე გამოუთავისუფლდათ მემფისის სნაიპერებს — დეიმონ სტუდემაიერსა და მაიკ მილერს, რაც ფინიქსს ამ მატჩის წაგებად დაუჯდა.

„ფინიქსის“ რიგებშით თავის დონეზე ითამაშეს გუნდის ლიდერებმა — შონ მერიონმა (23 ქულა, 11 მოხსნა) და სტივ ნეშმა (17 ქულა, 13 პასი), მაგრამ ეს საერთო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

სხვათა შორის, მერიონი ერთადერთი კალათბურთელია ლიგაში, რომელმაც ყველა თამაშში გააკეთა ორმაგი დუბლი.

სხვა მატჩებიდან კი უნდა გამოიყოს ორი უდიდესი მწვრთნელის — ფილ ჯექსონისა და ლარი ბრაუნის დაპირისპირება, რომელიც ამჯამად პირველის სასარგებლოდ დასრულდა, მისმა „ლეიკერსმა“ კი „ნიუ იორკს“ 97:92 მოუგო.

ნიუიორკელები ლოს ანჯელესში კარგ ხასიათზე ჩავიდნენ — მათ ხომ ზედიზედ, თანაც გასვლაზე დაამარცხეს საკრამენტო და იუტა. „ლეიკერსს“ კი პირიქით, სამმატჩიანი წაგებათა სერია ჰქონდა, თუმც ამ ფაქტმა მაინც ვერ იქონია ზეგავლენა — „ლეიკერსმა“ მოიგო, ხოლო მშობლიურ „სტეპლს ცენტრში“ დაბრუნებულმა ბრაიანტმა კი უბრალოდ იფრინა, წლეულს თავისთვის უმაღლესი 42 ქულა დააგროვა.

ნიუიორკელების რიგებში ახალბედა ჩენინგ ფრაი და ცენტრი ედი კარი გამოირჩნენ, ხოლო „ნიქსის“ მთავარმა ვარსკვლავმა, გამთამაშებელმა სტეფონ მარბერიმ მხოლოდ 4 ქულა ჩააგდო.

ბრაიანტს კარგად მიეხმარნენ კრის მიმი და ლამარ ოდომი, რომლებიც განსაკუთრებით დაცვაში კარგი თამაშით გამოირჩნენ.

ასევე მორიგი ფეერული მატჩი ჩაატარა ალენ აივერსონმა, რომელმაც „ტორონტოს“ 42 ქულა ჩაუგდო და თავის „ფილადელფიას“ მორიგი გამარჯვება მოპოვებინა. თავიანთ ლიდერს კარგად აუბეს მხარი ანდრე იგუოდალამ, რომელმაც 26 ქულა მოიპოვა და კრის ვებერმა, რომელმაც კინაღამ სამმაგ დუბლს გამოჰკრა ხელი — 21 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი.

„ტორონტოს“ კი „ატლანტასთან“ ერთად ჯერ მოგების გემო არ გაუსინჯავს, სამაგიეროდ, მეშვიდედ დამარცხდა. კანადელების მხრიდან მაიკ ჯეიმსის (36 ქულა) და კრის ბოშის (23 ქულა, 10 მოხსნა) თამაშია გამოსაყოფი.

**კახა ლომაშვილი**



ფერნანდო გონსალესი

# დავიდენკოს ცხოვრების შანსი

მასტერსის თასი
შანხაი. ჩინეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 4 450 000 $

**ოქროს ჯგუფი**

**ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) — 6:3 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) — 6:3 4:6 6:0

**მაშ** ასე, მასტერსის თასს უკვე ჰყავს ორი ნახევარფინალისტი — შვეიცარელი როჯერ ფედერერის შემდეგ აქ თავისი ადგილი რუსმა ნიკოლაი დავიდენკომაც გაინაღდა. ცნობილია ისიც, რომ ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს ნახევარფინალში ნამდვილად არ შეხვდება. ასე რომ, რუსს მშვენიერი შანსი აქვს, წლის შემაჯამებელ ტურნირზე დებიუტისას პირდაპირ ფინალში ამოყოს თავი.

დავიდენკოს მეორე თამაში არგენტინელი გასტონ გაუდიოს წინაამდეგ უნდა ჩაეტარებინა. იგი მასთან მოგების შემთხვევაში ფაქტობრივად ინაღდებდა ნახევარფინალში გასვლას, ხოლო თუ ანდრე აგასის შემცვლელი ფერნანდო გონსალესი კიდევ ერთ არგენტინელ მარიანო პუერტას მოუგებდა, მაშინ დავიდენკო ჯგუფიდან გადიოდა, თანაც პირველი ადგილით.

საბოლოოდ, ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც რუსს ხელს აძლევდა.

დავიდენკო გაუდიოსთან მატჩში აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა, რადგან არგენტინელი მხოლოდ თიხნარზე თამაშობს კარგად, რუსი კი გაცილებით უნივერსალური ჩოგბურთელია. ეს ამ მატჩმაც დაგვანახა. მიუხედავად იმისა, რომ დავიდენკომ თამაში 2 სეტში მოიგო, საკმაოდ ბევრი იწვალა.

რუსმა თავიდანვე კარგად დაიწყო და მალე ბრეიკიც გაუკეთა მოწინააღმდეგეს. დავიდენკომ ეს უპირატესობა ადვილად შეინარჩუნა და პირველ სეტშიც იოლად იმარჯვა — 6:3.

მეორე პარტია რუსის უფრო დიდი უპირატესობით დაიწყო. მან უკვე ორჯერ გაუკეთა ბრეიკი გაუდიოს, 5:1 დაწინაურდა და თვითონ აწოდებდა. აქ თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, დავიდენკო მოეშვა და კონცენტრაციაც დაკარგა. გაუდიომ მშვენივრად გამოიყენა ეს ბოძებული შანსი და ნამდვილი ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგეს.

გაუდიომ იმდენი მოახერხა, რომ მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა და დავიდენკოს მოწოდებაზე სამმაგი ბრეკ-პოინტიც ჰქონდა, თუმცა აქ რუსმა 5 გათამაშება ზედიზედ მოიგო და სეტიც და მთლიანად მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. ამას რუსმა 1 საათი და 47 წუთი მოანდომა.

დავიდენკო კმაყოფილი ჩანდა: „ნორმალურად ვითამაშე, განსაკუთრებით პირველ სეტში... მართლაც ძნელია ამ საფარზე თამაში, თანაც ამდენი ტრავმის შემდეგ. ახლა უფრო ფრთხილად ვარ... ასეთი რამ აღარ მოხდება — ტრავმების გამო 5 კაცი გამოაკლდა ტურნირს. ამიტომ ეს ჩემი შანსია და მის გამოყენებას აუცილებლად შევეცდები“.

ასე რომ, დავიდენკოს დიდი მიზნები აქვს.

გასტონ გაუდიომ კი ესლა თქვა — თამაშში ერთხელ მქონდა ვარდატეხის შეტანის შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენე და საუბარი აღარ ღირსო.

დღის მეორე მატჩში კი ერთმანეთს ფერნანდო გონსალესი და მარიანო პუერტა შეხვდნენ. ტრავმების და ამის გამო ჩოგბურთელების ჩანაცვლების პროცესში ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ჩილიელი აღმოჩნდა. თუ სხვებმა ნულოვანი პოზიციიდან მაინც დაიწყეს, ანდრე აგასიმ ჩაატარა პირველი შეხვედრა, წააგო და სწორედ მას ჩაენაცვლა გონსალესი, ანუ შანხაიში თავისი პირველი პაექრობის ჩატარებისას უთამაშებლად ერთი წაგება ჰქონდა გრაფაში. ჩილიელმა მაინც დიდებულად ითამაშა პუერტასთან, მოიგო და ნახევარფინალში მოხვედრის მშვენიერი შანსიც აქვს. ამისთვის გონსალესს გაუდიოს დამარცხება სჭირდება და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩილიელი მაგარსაფარზე უკეთ გამოიყურება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ოქროს ჯგუფიდან ნახევარფინალის მეორე საგზურის მთავარი კანდიდატი სწორედ გონსალესია.

უშუალოდ მატჩი კი ჩილიელის აშკარა უპირატესობით წარიმართა. მას მხოლოდ ერთი ჩავარდნა ჰქონდა მეორე სეტში, როცა რამდენიმე უნებლიე შეცდომა დაუშვა და ეს ამ პარტიის წაგებადაც დაუჯდა. თუმცა მესამეში გონსალესმა უკვე გაანადგურა პუერტა და აქტივში პირველი გამარჯვებაც ჩაიწერა.

მატჩის შემდეგ გონსალესი იმაზე ლაპარაკობდა, რომ შანხაიში წამოსვლაზე დიდხანს ფიქრობდა: „5 დღის წინ შინ ვიყავი და მშვენიერ დროს ვატარებდი, როცა დამირეკეს და შანხაიში ჩასვლა შემომთავაზეს... ბევრი ფიქრის შემდეგ წამოსვლა გადავწყვიტე. 30 საათი უნდა მეფრინა, მაგრამ ვიცოდი, ბევრი ტრავმირებული იყო და დიდი შანსი მეძლეოდა. ახლა ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ტურნირზე გამოვდივარ“.

შეგახსენებთ, რომ გონსალესი პირველი ჩილიელია მასტერსის თასზე მას შემდეგ, რაც აქ 1998 წელს მარსელო რიოსმა იასპარეზა.

**კახა ლომაშვილი**



ნიკოლაი დავიდენკო





სიდნი კროსბიმ (№87) ფილადელფიას ფაქტიურად მარტომ მოუგო

# ბლეფმა არ გაჭრა

16 ნოემბერი

**ფილადელფია 2:3 პიტსბურგი**

*0:0 0:0 2:2 0:1*

0:1 მელოუნი (43), 0:2 კროსბი (43), 1:2 პიტკანენი (46), 2:2 პიტკანენი (47), 2:3 კროსბი (65)

**სიდნი** კროსბის ჰოკეის თამაში მსახიობობაზე გაცილებით უკეთ გამოსდის. „ფილადელფიასთან“ თამაშის მეორე პერიოდში 18 წლის ვუნდერკინდს ორი უსიამოვნება შეემთხვა. ჯერ იყო და მეტოქემ მას ყვანჯით ტუჩი გაუხეთქა და კროსბის ნჰლ-ურ კარიერაში პირველი ნაკერებიც დაადეს. ყინულზე დაბრუნების შემდეგ კი კროსბიმ საკმაოდ უშნო იმიტირება გააკეთა, თითქოს მას კვლავ სახეში უთავაზეს და ყინულზე დაეცა. მსაჯებმა არ დაუჯერეს და არასპორტული საქციელისთვის თავად სიდნი დააჯარიმეს. სამაგიეროდ, ბოლო მესამედში კროსბიმ უდიდესი პოტენციალი და გამოამჟღავნა და სამივე გატანილ შაიბაში უშუალო მონაწილეობა მიიღო. ჯერ რაიან მელოუნს ბრწყინვალე პასი მიაწოდა, შემდეგ თავად გაათანაბრა ანგარიში, ხოლო ოვერტაიმში გაამარჯვებინა კიდეც გუნდს.

გამარჯვებაში წვლილი რომ შევიტანა, რა თქმა უნდა, მიხარია. იმ ეპიზოდში კი მართალი ვიყავი — თქვა კროსბიმ ნამატჩევს.

**კალგარი 3:1 დეტროიტი**

*1:1 1:0 1:0*

0:1 ლანგი (2), 1:1 ამონტე (12), 2:1 კობასიუ (37), 3:1 მაკარტი (43)

**„კალგარი“** ნელ-ნელა იწყებს სეზონისწინა პროგნოზების გამართლებას.

შეგახსენებთ, რომ ავტორიტეტულმა გამოცემა „THE SPORTING NEWS“-მა კალგარელები რეიტინგში პირველ ადგილზე დააყენა, მაგრამ თავიდან „ალებს“, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ. სამაგიეროდ, ბოლო რვა მატჩი უკლებლივ მოიგეს, ამჯერად კი თვით „დეტროიტი“ არ დაინდეს.

**ფინიქსი 1:3 კოლორადო**

*1:0 0:1 0:2*

1:0 ჯონსონი (18), 1:1 სვატოში (35), 1:2 სვატოში (42), 1:3 ბლეიკი (53)

**კოლორადოელმა** რობ ბლეიკმა გოლის ხარჯზე კარიერაში მე-600 ქულა მოაგროვა, რაც აქამდე მხოლოდ ოთხმა ამჟამად მოთამაშე მცველმა მოახერხა.

**ატლანტა 3:7 აილენდერსი**

*0:2 2:2 1:3*

0:1 ბეიტსი (7), 0:2 ჰანტერი (18), 1:2 მოდრი (28), 1:3 ეშამი (31), 2:3 ბონდრა (33), 2:4 შატანი (38), 3:4 სლეიტერი (42), 3:5 ბეიტსი (53), 3:6 შატანი (56), 3:7 ბლეიკი (60)

**კოლუმბუსი 0:2 სენტ ლუისი**

*0:0 0:0 0:2*

0:1 სტემპნიაკი (53), 0:2 იანგი (57)

**„კოლუმბუსს“** ვერც სერგეი ფიოდოროვის შეძენა შველის. ყოველ შემთხვევაში, ახალი კლუბის შემადგენლობაში ჩატარებულ პირველ თამაშში ფიოდოროვი დიდად არაფრით გამოირჩეოდა, ხოლო მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს ლიგის კიდევ ერთი მანანჩალას.

ისე, ფიოდოროვის საპატიოდ უნდა ითქვას, რომ მას გვერდით რიკ ნეში არ ჰყავდა, რომელსაც ჯერაც არ მოურჩენია ტრავმა. „სენტ ლუისს“ კი პირველი გამარჯვება 19 ოქტომბრის შემდეგ ახალბედებმა მოუტანეს — ლი სტემპნიაკმა ჩინებულად გამოიყენა მეტოქის შეცდომა და ანგარიში გახსნა, ხოლო მეკარე კერტის სენფორდმა 36 დარტყმა მოიგერია.

**ანაჰაიმი 2:4 დალასი**

*2:1 0:0 0:3*

0:1 არნოტი (5), 1:1 მუნი (11), 2:1 ს. ნიდერმაიერი (16), 2:2 არნოტი (49), 2:3 ლეჰტინენი (50), 2:4 არნოტი (59)

**სან ხოსე 1:3 ვანკუვერი**

*0:1 1:0 0:2*

0:1 პარკი (9), 1:1 გოჩი (26), 1:2 ჟოვანოვსკი (51), 1:3 კარტერი (54)

**სამველ ლარიბიანი**

ფრენბურთი

# ევროამნისტია ქართველ ფრენბურთელებს დისკვალიფიკაცია მოუხსნეს

**ევროპის** ფრენბურთის კონფედერაციამ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას სასიხარულო ამბავი აცნობა. ხუთთვიანი ლოდინის შემდეგ საქართველოს ქალთა ნაკრებს ევროსარბიელზე თამაშის უფლება დაუბრუნა.

შეგახსენებთ, რომ სკანდალი თენგიზ მიქაძის გუნდის შვედეთში ჩაუსვლელობის გამო აგორდა. ფრენბურთელებს საფრანგეთის საელჩომ ვიზები არ მისცა და თამაშიც ჩაიშალა. ევროპის კონფედერაციამ მკაცრი სანქცია გამოიტანა. ნაკრებს 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ხოლო ჩვენს ფედერაციას ფულადი ჯარიმის - 6720 ევროსა და შვედებისთვის საორგანიზაციო ხარჯების (დაახლოებით 20 ათასი ევროს) გადახდა დააკისრა.

ივნისიდან მოყოლებული, ფედერაციიდან ევროკონფედერაციის შტაბ-ბინაში ქართველთა უდანაშაულობის დამამტკიცებელი უამრავი საბუთი გაიგზავნა. გუშინწინ ალმასკომის სხდომა ჩატარდა, რომელზეც ევროფრენბურთის ხელმძღვანელებმა ერთ-ერთ საკითხად ქართული აპელაციაც განიხილეს და პირვანდელი გადაწყვეტილებაც შეცვალეს, თუმც ნაწილობრივ. ფულადი ჯარიმისა და შვედებისთვის თანხის გადახდა ქართულ მხარეს მაინც მოუწევს.

გუშინ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი, ლუქსემბურგში გაემგზავრა. 19 ნოემბერს იქ მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართება და ჩვენი ქალთა და კაცთა ნაკრებების მორიგი მეტოქეებიც გაირკვევა. ახვლედიანს გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე გავესაუბრეთ:

— კონფედერაციის გადაწყვეტილებამ, ერთი მხრივ, გამაკვირვა, რადგან ეს ორგანიზაცია სიტყვას იშვიათად თუ გადათქვამს. მეორე მხრივ კი, მართლაც ველოდი სიმართლის გამარჯვებას. ისეთი არგუმენტები მოვაგროვეთ და დავულაგეთ წინ, ფაქტობრივად, სხვაგვარად მოქცევის შანსი აღარ დავუტოვეთ. ახლა ერთადერთი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი. თუ მართლები ვართ, მაშინ ჯარიმაც უნდა მოგვიხსნან. ამასაც გავასაჩივრებთ და, სავარაუდოდ, დეკემბერ-იანვარში ალმასკომი, ალბათ, ერთხელაც იმსჯელებს.

... მომავალი წლიდან ევროსარბიელზე ქალებთან ერთად კაცებიც გავლენ. მიზეზთა გამო, რეიტინგი ქალთა ნაკრებს უფრო მაღალი აქვს და მიქაძის გუნდი პირდაპირ ჯგუფურ ეტაპში ჩაერთვება, კაცებს კი ჯგუფში მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა დასჭირდებათ. უკვე სავარაუდო მეტოქეებიც ცნობილია. საქართველოს კაცთა ნაკრები მაისის შუა რიცხვებში შვედეთის, ავსტრიის, ნორვეგიის, ლატვიის, მოლდოვას, აზერბაიჯანის ან ლუქსემბურგის გუნდს დაუპირისპირდება. თამაშები მიმოსვლითი სისტემით ჩატარდება,. ჯგუფური მატჩები კი 28 მაისიდან დაიწყება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჭადრაკი



ზურაბ აზმაიფარაშვილი

# ოთხი ქართველი ცივ ქალაქში

**26 ნოემბრიდან** 17 დეკემბრამდე რუსთა ცივი ქალაქი ხანტი-მანსიისკი მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს, რომელშიც პლანეტის 128 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას.

ქალაქი გამალებით ემზადება ამ დღისთვის. ყველა სასტუმრო უკვე მზადაა სტუმრების მისაღებად. განახლებულია რამდენიმე ფიტნეს-კლუბი, საუნა და სავარჯიშო ოთახები.

როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები აცხადებენ, ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია და იქ ჩასული მოჭადრაკე ნამდვილად არ მოიწყენს.

„თუ სტუმრებს სურვილი ექნებათ, შეუძლიათ, ქალაქში გაისეირნონ და ღირსშესანიშნაობები დაათვალიერონ. ნახონ ყინულის სასახლე, სათხილამურო სპორტის ცენტრი, ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვა მრავალი რამ" — განაცხადა ერთ-ერთი რუსული სააგენტოს თანამშრომელმა.

ჩემპიონატის მიმდინარეობისას მრავალი გასართობი ღონისძიება დაგეგმილი და მოჭადრაკეები სათანადოდ იქნებიან დაცულნი.

„მსგავსი ასპარეზობა აქ პირველად არ იმართება — განაცხადა ქალაქის მერმა ვალერი სუდეიკინმა — ჩემპიონატმა გართულებების გარეშე რომ ჩაიაროს, ყველა ძალოვანი სტრუქტურა მობილიზებული იქნება".

თამაშები ჩრდილოელი ვუნდერკინდი ბავშვებისთვის აგებულ კულტურულ ცენტრში გაიმართება, ხოლო დაჯილდოებას საკონცერტო კომპლექსი „იუგრი-კლასიკი" უმასპინძლებს.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 1 მილიონ 572 ათასი დოლარია.

შეგახსენებთ, რომ გათამაშებაში ოთხი ქართველი მიიღებს მონაწილეობას: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზვიად იზორია, ბადურ ჯობავა და ლევან ფანცულაია.

გაგაცნობთ მათ მეტოქეებს:

აზმაიფარაშვილი — მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), იზორია — სერგეი ერენბურგი (ისრაელი), ჯობავა — ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია), ფანცულაია — ვადიმ მილოვი (შვეიცარია).

**ლაშა გეგეჭკორი**

კრივი

# ბოლო იმედი ჟვანიაა

**პეკინში** მიმდინარე კრივის მსოფლიოს ჩემპიონატზე დღეიდან მეოთხედფინალები იწყება. საქართველოს ნაკრებიდან მედლისთვის ბრძოლას ერთადერთი კახა ჟვანია (69 კგ) აგრძელებს. გუშინ იგი მოლდოველ ვიტალი გრუსაჩს შეხვდა და აშკარა უპირატესობით აჯობა.

მეოთხედფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ ევროპის პრიზიორ ზვიად იზორიას (51კგ), დავით წიკლაურსა (81კგ) და ბექა ლობჟანიძეს (+91კგ). იზორიამ სამხრეთკორეელ სუნგ ლისთან 17:26 წააგო, წიკლაურმა ყატარის სახელით მოკრივე ზაურ თეიმუროვთან — 24:34, ხოლო ლობჟანიძემ — გერმანელ ალექსანდრ პოვერნოვთან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კრივი

# ფორიაქი რინგს მიღმა

**მას** მერე, რაც ვიტალი კლიჩკომ კარიერა მიატოვა, WBC-მ უნდა დაიწყოს თავის მმართველთა საბჭოს კენჭისყრის პროცედურა, რათა ამავე ორგანიზაციის ვერსიით ჰასიმ რაჰმანი დროებით მსოფლიოს ჩემპიონად დაინიშნოს.

იმ შემთხვევაში, თუ WBC-ს ვერსიით ჰასიმ რაჰმანი ჩემპიონად გამოცხადდება, მაშინ სუპერმძიმე წონაში საკრივო ყველა მთავარი ვერსიით (რაჰმანთან ერთად ესენი არიან ჯონ რუისი, ლეიმონ ბრიუსტერი და კრის ბერდი) ქამრების მფლობელნი კონტრაქტით პრომოუთერ დონ კინგს დაუკავშირდებიან.

თუმცა, 17 დეკემბერს ჯონ რუისმა თავისი ტიტული ნიკოლაი ვალუევის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა დაიცვას, რაც რუს სპორტსმენს რეალურ შანსს აძლევს, რათა საგრძნობი დარტყმა მიაყენოს კინგის იმპერიას.

ჯერჯერობით კი ამ სახელგანთქმული პრომოუთერის გეგმები ასეთია: რაჰმანსა და ჯეიმს ტოუნის შორის ბრძოლის გამართვა, აგრეთვე სუპერმძიმე წონაში აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენი მინი ტურნირის მოწყობა.



დონ კინგი

შეგახსენებთ, რომ მსგავსი ტურნირის შედეგად ოცი წლის წინათ მსოფლიოს ჩემპიონი მაიკ ტაისონი გახდა.

ამასობაში ოთხ წონით კატეგორიაში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი ჯეიმს ტოუნი უარს ამბობს დეკემბერში დანიშნულ რობ კელოუეისთან ბრძოლაზე, რადგან მას ჰასიმ რაჰმანთან WBC-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად შანსი გაუჩნდა.

ირკვევა, რომ ამ ბრძოლით დაინტერესდა ტელეარხი HBO, რომელიც მზადაა ეს ბრძოლა თებერვალში ან მარტში თავის პროგრამაში შეიტანოს, ოღონდ, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ტოუნი და რაჰმანი ამ ბრძოლაზე დათანხმდებიან.

რაჰმანის მენეჯერმა სტივ ნერსონმა დაადასტურა, რომ ტოუნის ახლა რაჰმანის ყველაზე რეალურ მეტოქედ განიხილავენ.

„ოღონდ საქმე ისა, თუ რამდენს გადაუხდიან ამ ბრძოლაში, — ამბობს ნელსონი. — ჩვენ ყველა ვარიანტს განვიხილავთ, რომელიც დაკავშირებულია ფასთან და რისკთან. გადაწყვეტილებასაც ამის მერე მივიღებთ. ეს ბრძოლა შესაძლებელია, მაგრამ ეს ერთადერთი შესაძლებლობა სულაც არაა. პრინციპში ჩვენ მოგვწონს ვლადიმერ კლიჩკოსთან ბრძოლის გამართვის ვარიანტი და არაფერი გვაქვს ლეიმონ ბრისუტერთან გამაერთიანებელი ბრძოლის საწინააღმდეგო არის სხვა ვარიანტიც, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ ჯეიმს ტოუნისთან ბრძოლა ჩვენ ყველაზე დიდ ფულს მოგვიტანს".

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# შვედეთი კრივს ნითლად უნათებს

**შვედეთის** სპორტის მინისტრმა განაცხადა, რომ იმ კანონის გახანგრძლივებას აპირებს, რომლის თანახმადაც ქვეყანაში პროფესიონალურ კრივში შეჯიბრებების ჩატარება იკრძალება.

როიტერის ცნობით, შვედეთი კუბასთან და ნორვეგიასთან ერთად იმ ქვეყანათა შორისაა, სადაც პროფესიონალური კრივი, როგორც სპორტის სახეობა, აკრძალულია, რადგან იგი ადამიანის ჯანმრთელობას აზიანებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაისროლა

ეგრე იცის ტალღამ. თუ მაგრად არ დადექ შენს სერფზე, გაგისვრის და იფრინეთ, ცალ-ცალკე შენ და კოჭზე გამობმულმა დაფამ. სამმეტრიანმა ტალღამაც ასე გაისროლა ჰაკაელი მაუკა რომანი, რომელიც იაპონიას ჩასულა იქაურ „ოუფი პროში“ საჩაუქოდ.



# ოლბლექზის წინ




პენიჰილ პარკში ვარჯიშია. ინგლისელები ბოლო მზადებას გადიან სადლეისოდ. მსოფლიო ჩემპიონები თვიქნებში მასპინძლობენ ახალზელანდიელებს და ამიტომ მარტინ კორისო (მარცხნივ) და პერი ფრეშვოტერის ძიძგილაობა ხუმრობა არ გეგონოთ.



# შელამებულზე

გოლფს თუ შეყევი, ჩამოგალამდება კიდეც. ალგარვეში, ლისაბონიდან 230 კილომეტრზე გაფენილ განთქმულ კურორტზე საგოლფე ტურნირი იწყება. ესპანელი მიგელ ანხელ ხიმენესი კი შელამებამდე ვარჯიშობს. მზე კი არსად ისე არ ჩადის, როგორც ალგარვეში.




# ჩვენთან, ჩვენთან

დღეს გაირკვევა ვინ უმასპინძლებს რაგბის მსოფლიო თასის გათამაშებას. იაპონიას ძალიან უნდა, რომ ასეთად შეიქნეს. ამიტომაც ჩასულა დუბლინს იქაური კავშირის ელჩი კოჯი ტოკუმასუ და ყველას დარწმუნებას ცდილობს. მასპინძლების ფავორიტები სწორედ იაპონელები და სამხრეთაფრიკელები არიან.




# ყატარის აკადემია

ოლიმპიზმის თავკაცი ჟაკ როგი ყატარის დედაქალაქ დოჰას ჩასულა და იქაური ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ შეიხ საუდ ბინ აბლურაჰმან ალთანის ებაასება. როგის დოჰაში ჩასვლის მიზეზი ისაა, რომ იქ მსოფლიოში უდიდესი სპორტის აკადემია გახსნილა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1993 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაქარ კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრამშილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge